# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 81 ოთხშაბათი, 15 აპრილი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება ... დღე, კვირა-უქმეების გარდა ... დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ელისაბედ ერასტის ასული მამაცაშვილისა შვილებითურთ ღრმად მადლობას უძღვნის ყველას, ვინც თავის ყურადღებით პატივი სცა განსვენებულის მისის მეუღლის გენერალ

**ქრისტეფორე იოსების ძის მამაცაშვილის**

ხსენებას. (1—206—1)

წარმოდგენა № 11. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 11

ხუთშაბათს, 16 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქართულ სცენაზე **პირველად ახალი პიესა**

ლეონიდ ანდრეევისა.

ბენეფისი მარო მდივანისა

**დღენი ჩვენი ცხოვრებისა**

(სტუდენტის სიყვარული)

დრამა 4 მოქმედებად თარგ. დ. ელიოზიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

**მაისის პირველ რიცხვებში მუშტაიდის ბაღში**

გაიმართება

**დიდი სახალხო სეირნობა და საქველმოქმედო ბაზარი**

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

„საზოგადოების“ გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, კეთილ ინებონ და გამოგზავნონ შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურობის ქარვასლა), ან სეირნობის გამგის ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყაზბეგის ბინაზე (ოლღას ქ. № 4).

გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს.

**გაიხსნა**

**კაფე ლონდონი**

გოლოვინის პროსპექტი, მანთაშოვის სახლი, № 6, „ტფ. სობრანიეს“ ქვეშ.

აქ ყოველთვის არის ხილეულობისა და მინერალური წყლები ყველაზე გაუმჯობესებულ **მ. ე. ლაღიძისა და ამხან.** ქარხნისა. ამასთან აქვე არის: ყავა, ჩაი, შოკოლადი, კაკაო, რძე, მაწონი, ნაყინი, ლუდი ადგილობრივ და სხვა საუკეთესო ქარხნებისა, სხვა და სხვა სახელდახელო დასანაყრებელი საუზმე, ბუტერ-ბროდები, ცხელ-ცხელი პიროჟკები და პეროჟნები. ყველაფერი საუცხოვოა, სუფთად მზადდება და დროზე. კაფესთან არის პატარა ბაღი შადრევნებით.

(1—გაყ.—1 პატივისცემით **ნეფარიძე და ამხ.**

**ომში დაჭრილთა და დაშავებულთა საყურადღებოდ**

სამხედრო გაზეთის „კავკაზსკაია არმიას“ რედაქტორი მ-ნ ს. ესამე სთხოვს ყველა დაშავებულ, დაჭრილს, ავადმყოფსა და საზოგადოდ ყველა იმას, რომელმაც ომში ყოფნის გამო დაჰკარგა შრომის უნარი, აგრეთვე იმ ოჯახებს, რომელთაც ომში ძოუკლეს ან კვალ-წმინდად დაჰკარგეს წევრი ოჯახისა, წარმოადგინონ რედაქციაში ქვემოდ მოყვანილი დაწვრილებითი ცნობები:

1. დაშავებულის გვარი, სახელი და მამის სახელი:
2. წოდება და ცნობა, თუ რომელ პოლკში მსახურებდა;
3. სადაურია და სადა სცხოვრობს ამ ჟამად (ქალაქი, საზოგადოება, სოფელი)
4. ოჯახური მდგომარეობა (ცოლი ჰყავს, უცოლოა, რამდენი შვილი ჰყავს);
5. სად მიიღო ჭრილობა ან სად დაშავდა (ექიმების მოწმობა);
6. რა საჩუქრები მიუღია;
7. კეთილ-საიმედოობის მოწმობა,

ყველა ეს ცნობა საჭიროა ჯერ იმიტომ, რომ აღძრულ იქნას შუამდგომლობა, დაჭრილსა და დაშავებულს დახმარება მიეცეს, და მეორე იმიტომ, რომ ითხოვონ დაჭრილებისა და დაშავებულების შვილები მიიღონ „ობოლთა თავშესაფარში“ რომლის დაარსებაც განზრახულია ტფილისის მახლობლად. 5—6.—4)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—122)

**ექიმი** **კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების ხატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—104

**ექიმი** **მ. ნ. მელიქიშვილი**

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—55)

**ექიმი** **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—100)

**ექიმი** **მ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

**კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—36)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 11. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. ს. 39)

**ექიმი** ქუთაისში **მ. წერეთელი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** **მ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ამხ. სორაპნის გამოცემა**

დაიბეჭდა და დაურიგდება მოლიერის დრამატიული თხზულებანი ტფილისის ხელის-მომწერთ დღეს, 14 აპრილს, პროვინციაში კი—17 აპრილს. (2—6—2)

**ხ**ონში ქირავდება აბრეშუმის ამოსაღები ქარხანა და პარკის სახჩობი და სახმობი ფარდული სანოძისა.

პირობების გაგება შეიძლება ქუთაისში ონისიმე ოტიას ძე ვარდოსანიძესთან (ფოსტაში) და ხონში კბილის ექიმ ქ-ნ სანოძესთან, საკ. სახლი. (10—კვ.—9)


## ტფილისი, 15 აპრილი

რუსეთის ჯარი სპარსეთის საზღვარს გადავიდა და თავრიზისაკენ გაემართა. ნაბრძანები აქვს, დაჩქარებულის მარშით წავიდეს, რათა 16 აპრილს, ე. ი. ხვალ, უკვე თავრიზს მივიდეს.

უახლოესი მიზეზი ამ დიდ-მნიშვნელოვანის ამბისა შემდეგია: შაჰის ჯარებმა, რა-კი თავრიზის აღება ვერ მოახერხეს, ალყა შემოავლეს და გზები მოუჭრეს. დიდ ქალაქს, სადაც ამ ჟამად მცხოვრებთა გარდა დიდ-ძალი შემოხიზნული ხალხიც არის, სურსათ-სანოვაგე შემოაკლდა; ქალაქში შიმშილობა ჩამოვარდა, ხალხი გამწარდა და ევროპიელთა მდგომარეობა ქალაქში საშიშარი შეიქმნა. აპრილის დასაწყისს თავრიზის ენჯუმენმა თხოვნით მიჰმართა რუსეთის და ინგლისის კონსულებს, შაჰის მთავრობასთან მოლაპარაკება გამართეთ და ამ პირობებით დროებითი მშვიდობიანობა ჩამოაგდეთ ჩვენს შორისაო: 1) გაიხსნას გზა ბასმინჯისაკენ, რათა დამშეულ ხალხისთვის პური იქმნას შემოზიდული; ენჯუმენი პირობას იძლევა, რომ ეს პური მარტო მცხოვრებთ დაურიგდება და არა სარევოლიუციო ჯარსაო; 2) როგორც-კი გაიხსნება გზა, ენჯუმენი წარმომადგენლებს დანიშნავს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად სრულის მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ; ამაზედვე თავრიზი შეუთანხმდება სხვა აჯანყებულ ქალაქებსაც; 3) სანამ მოლაპარაკება არ დასრულდება ბრძოლა ორივე მხრით უნდა შეწყდეს. ენჯუმენი დასძენდა, რომ მოლაპარაკება შეეხება სპარსეთში კონსტიტუციის აღდგენას; შაჰის წინააღმდეგი ჩვენ არაფერი არა გვაქვსო. ინგლისის და რუსეთის მთავრობანი, იმის შიშით, რომ თავრიზში „შიმშილის აჯანყება“ არ მოხდეს და იქ მყოფ მრავალ ევროპიელთ განსაცდელი რამ არ მიადგეს, შეეცადნენ შაჰის მთავრობის დაყოლიებას თავრიზის ენჯუმენის პირობებზე და მართლაც შაჰმა ბრძანა, ექვსი დღით ბრძოლა შეწყდეს და გზები გაიხსნას სანოვაგის შესატანად თავრიზშიო. ექვსი დღე ერთობ მცირე ვადა იყო, მაგრამ შაჰის ჯარების მთავარ სარდალმა, ეინუდ დოულემ, ესეც არ იკმარა: ვერაგულად დაარღვია პირობა და ბრძოლის შეწყვეტის გამოცხადების მეორე დღეს მოულოდნელი იერიში მიიტანა ქალაქზე. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა ჯარების გაგზავნა და გარდაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა კიდეც.

ეჭვს გარეშეა, იწყება ახალი ხანა სპარსეთის რევოლიუციაში. უცხო სახელმწიფონი აქტიურად ჩაერივნენ მის შინაურ საქმეში და, რასაკვირველია, ამას დიდი შედეგები მოჰყვება, რომელთა ამ ჟამად გათვალისწინება შეუძლებელია. მრავალი საკითხი იბადება: როგორ მიეგებება სპარსეთის ხალხი ამ ჩარევას, გაუწევს თუ არა წინააღმდეგობას? რა შორეული მიზანი აქვს ამ ჩარევას? რას იტყვიან ევროპის სხვა სახელმწიფონი? რა გზას დაადგება შაჰი და სხვა და სხვა. თვით რუსეთის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ მისი აქტიური ჩარევა სპარსეთის შინაურ საქმეებში შორს არ წავა: იგი უზრუნველჰყოფს რუსეთის და სხვა ევროპიელ სახელმწიფოთა ქვეშევრდომების მდგომარეობას ადერბეიჯანში და მშვიდობიანობის წესიერების დამყარების შემდეგ ჯარებს უკანვე დაიბარებს. ასეთ ოფიციალურ განცხადების ფასი ისტორიამ კარგად იცის: რამდენიმე ასეთი ჩარევა გადაქცეულა ჯერ „დროებით ოკუპაციად“ და მერე სამუდამოთ!.. ამის თაობაზე ახლაც რაღაც საეჭვო ხმები ვრცელდება ევროპის პრესსაში. ამბობენ, ვითომ გერმანიისა და ავსტრიის თანხმობით რუსეთი დაიჭერს ადერბეიჯანს და შეირჩენს მას და ეს იქნება მისი კომპენსაცია, ბალკანეთის საქმის წაგების მაგიერი. მაგრამ, არა გვგონია, რომ ეს ხმები სიმართლეს ჰგავდენ. ინგლისის თანხმობითი მოქმედება რუსეთთან უზრუნველ უნდა ჰყოფდეს სპარსეთის მთლიანობის ხელუხლებლობას. ინგლისის პოლიტიკის ხელმძღვანელნი დღემდე იმის ცდაში იყვნენ, რომ სპარსეთში კონსტიტუცია დამყარებულიყო. არა ერთხელ განუცხადებიათ პარლამენტში, რომ ინგლისი არავის ნებას არ მისცემს სპარსეთის ტერიტორიის რომლისამე ნაწილის ხელში ჩაგდებასაო. უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისი გულწრფელად მოქმედობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ მან თავის მოკავშირე რუსეთს ნება მისცა ადერბეიჯანის დაპყრობისა, მაშინ სჩანს, თითონაც აპირებს სამხრეთ სპარსეთის ხელში ჩაგდებას; ხოლო ეს სპარსეთის დანაწილება იქნება და ამას ხომ მთელი ევროპის გამოწვევის ხასიათი ექნება?! მეორეს მხრით, ნუ-თუ რუსეთის გარეშე პოლიტიკის ხელმძღვანელთა სიბრმავე იქამდის მივიდა, რომ ახალ ავანტიურაში ჩაბმას არ ერიდებიან? რუსეთის შინაური მდგომარეობა სრულებითაც ხელს არ უწყობს ალარმისტ-იმპერიალისტურ პოლიტიკას და მეორე მანჯურიის გაჩენას, ვგონებთ, რუსეთის ახლანდელი მთავრობა მოერიდება...

ამ გარემოებათა მიხედვით, ე. ი. ინგლისთან თანხმობით მოქმედებისა და რუსეთის შინაურ მდგომარეობის მიხედვით თუ გავსინჯეთ საქმე, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის ჩარევა სპარსეთის შინაურ საქმეებში მართლა შორს არ წავა; მაგრამ აქ ყველა ფაქტებსა და შემთხვევებს ანგარიშს ვერ გაუწევ და, ვინ იცის, როგორ დატრიალდება საქმე. სპარსეთის შინაური ყოფა ერთობ ძნელია და საერთაშორისო ცხოვრების კონიუნქტურაც იმნაირია, რომ ერთ მოულოდნელს შემთხვევასაც შეუძლია სულ არივ-დარიოს საქმე... სპარსეთის ხალხს დიდი უბედურება ეწვია. მარჯვედ და კარგად დაწყებული საქმე განთავისუფლებისა და განახლებისა შეუფერხდა; ორის წლის თავგანწირულმა ბრძოლამ საქმე ვერ დააგვირგვინა და ეხლა მის ტერრიტორიაზე ახალი ძალები გამოდიან. რაც უნდა კეთილის განზრახვით იყოს გამოწვეული ამ ძალების ჩარევა, სპარსეთის ხალხს იგი დიდ ზიანს მიაყენებს. ხოლო რადგან „კეთილ განზრახვის“ იმედი ილლიუზია არის, უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსეთს დიდი განსაცდელი და ტანჯვა დაატყდება თავს. დიდი პასუხისგება იკისრეს თავის ქვეყნის მომავლის წინაშე სპარსეთის მმართველ-ბრძანებლებმა, რომელთა გაბოროტებამ და ჯიუტობამ გამოიწვია ეს სასტიკი კრიზისი; მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამგვარ ბრძანებელ-მმართველთ არსად და არასოდეს არ აშინებთ პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე; მათი დევიზია, „ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო“ და რას მოერიდებიან ქვეყნის დამცირებას, დაწიოკებას გარეშე მტერ-მოყვარეთაგან?!.

## რევოლიუცია ოსმალეთში

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სტამბოლი.** „პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა დაათვალიერა სტამბოლი. ყველა ჰაუპტვახტა და მთავრობის შენობა, რომლებშიაც მოდარაჯე ჯარის-კაცები დგანან, დაზიანებულია ტყვიებისა და ყუმბარებისგან. მოდარაჯე ჯარის-კაცები უწინააღმდეგოდ დაჰნებდნენ კომიტეტის ჯარს. სტამბოლის ქუჩებს ნაკლები სიცოცხლე ეტყობა და უფრო ნაკლებ იცავს ჯარი.

მინისტრთა საბჭო შეიკრიბა დიდ ვეზირის სახლში და შეადგინა ბრძანება საალყო წესების გამოცხადების შესახებ. ეროვნულმა კრებამ სან-სტეფანოში მოიწონა ეს ბძანება. საალყო წესებს 12 აპრილს შემოიღებენ. საღამოს 8 საათის შემდეგ ქუჩაში გასვლა აკრძალულია.

13 აპრილს დაიწყებენ მოქმედებას საგანგებო სამხედრო სასამართლოები კონტრ-რევოლიუციის მონაწილეთა დასასჯელად.

11 აპრილს ილდიზის ჯარი წინააღმდეგობის შემდეგ დაჰნებდა კომიტეტის ჯარს. სულთანი ირწმუნება, რომ მას არავინ წაუქეზებია კონტრ-რევოლიუციის მოსახდენად და უარს ამბობს ტახტიდან გადადგომაზე. ჯერ ეს საქმე გადაწყვეტილი არაა.

13 აპრილს პალატა და სენატი სტამბოლში დაბრუნდებიან. სკუტარის კაზარმა დაჰნებდა კომიტეტის ჯარს.

ნაშუადღევის 5 საათის შემდეგ გამოგზავნილი დეპეშა იუწყება: მთავრობას მთლად დაეკარგა ძალა. მახმუდ-შევკეტ-ფაშა და მისი შტაბი განუსაზღვრელი დიქტატორები არიან ოსმალეთისა. სულთანი ჯერ კიდევ ილდიზში იმყოფება. დიპლომატიურ კორპუსის უფროსმა გერმანიის ელჩმა შეატყობინა საელჩოებსა და მისიებს, რომ სტამბოლში შემოღებულია საალყო წესებიო.

„კორ. ბიუროს“ ატყობინებენ 12 აპრილის თარიღით: სალონიკის ჯარი სრულის წესით გადავიდა სკუტარიში. მხოლოდ თითო-ოროლა ჯარის-კაცი, რეაქციონერებისგან წაქეზებული, დაეცა ჯარსა. ორსავ მხარეს დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი დიდი არაა. ყველა სავაჭრო დაწესებულება სკუტარიში დაიკეტა. სალონიკის ჯარმა დაიჭირა ქუჩები დიდი კაზარმა უწინააღმდეგოდ დაიჭირა ჯარმა. იქაურ ჯარის-კაცების უმეტესობა გაიქცა, დანარჩენმა იარაღი ჩააბარა სალონიკის ჯარს.

**სტამბოლი.** „კორ. ბიუროს“ ცნობით, 12 აპრილს საღამოს 7 საათზე ილდიზი ჯერ არა ჰქონდა დაჭერილი სალონიკის ჯარს. მხოლოდ ილდიზის ახლო მიდამოებში დადიან ჯარის პატრულები. აფიცრები ამბობენ, რომ ილდიზის ასაღებად 12 აპრილს საღამოთი მიიტანთ იერიშსაო. როგორც ისმის, პრინცებმა და პრინცესებმა 11 აპრილს ღამით მიატოვეს ილდიზი. ილდიზში დარჩენილი მოსამსახურეები იტაცებენ სასახლის ავეჯსა და მორთულობას.—ზოგიერთი აფიცერი ირწმუნება, სულთანი ჯერ კიდევ ილდიზში იმყოფებაო, სხვები-კი ამბობენ, რომ მან უკვე მიატოვა თავის სასახლეო.

**სტამბოლი.** ეროვნული კრება ჯარის რაზმის თანხლებით, დღეს სან-სტეფანოდან სტამბოლში დაბრუნდა. მოახდინეს დახურულ სხდომას.

დილით ავსტრიამ და ოსმალეთმა ერთმანეთს ჩააბარეს ავსტრია-ოსმალეთის შეთანხმების დამტკიცებული ოქმები.

**ვენა.** „კორ.-ბიუროს“ ატყობინებენ სტამბოლიდან: გარეშე საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ 12 აპრილს საღამოთი ერთმა სალონიკელმა ბატალიონმა სულთანის საკარველისამებრ ილდიზი დაიჭირაო.

**სტამბოლი.** საალყო წესების გამოცხადების გამო ქუჩები დაცარიელდა; საღამოს რვა საათის შემდეგ ქუჩებში დაგვიანებული გამვლელები-ღა ჩანდნენ; მათაც ჯარის-კაცები აცილებდნენ; 9 საათამდე ქუჩებში არავინ ჩანდა. ღამით ბევრნი დაატუსაღეს; დატუსაღებულთა შორის არიან რედაქტორები გაზ. „იკდამ“-ისა და „მიზან“-ისა; მრავალი სოფტი დაატუსაღეს. გაზეთები იუწყებიან, რომ სოფტებმა სტამბულში ფეხტას მედრესაში (სასწავლებელში) იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს კომიტეტის ჯარსაო. სასწავლებელი დაანგრიეს. სამხედრო კლუბთან სოფტებმა ყუმბარა ესროლეს მიმავალ სამხედრო ყუთს, რომლითაც ზარბაზნის ყუმბარები მიჰქონდათ; ყუთმა იფეთქა. ჯარმა დაიჭირა კლუბი და დახოცა სოფტები, რომლებიც კლუბში იმყოფებოდნენ. ყველა დატუსაღებულს საომხედრო საველე სასამართლოში აძლევენ.

ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი ყველა გაზეთში ამტკიცებს, რომ იგი სულაც არ უწევს ხელმძღვანელობას ჯარსა და არავის პირად შურისძიებას არ ცდილობს; იგი ირწმუნება, რომ ჯარი ხალხის ნებას ასრულებს და სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს, ხოლო კომიტეტი ცდილობს მარტო კანონიერების აღდგენას და კონსტიტუციის წინააღმდეგ შეთქმულების დასჯასო.

**სტამბოლი.** დილის 10 საათზე დაიწყო ეროვნულ კრების სხდომა ხალხის დაუსწრებლად. პარლამენტის შენობაში პრესის წარმომადგენელნი არ შეუშვეს. როგორც ისმის, კრება იხილავს რამდენისამე სენატორის და დეპუტატის წინადადებას სულთანის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ. ილდიზს მიაყენეს ბევრი ჯარი ზარბაზნებით. სტამბოლში განახლდა ჩვეულებრივი

ცხოვრება, მაგრამ ქუჩებში მაინც ნაკლები სიცოცხლეა, ყველგან პატრულები ჩანან.

**ვენა.** „კორ.-ბიუროს" ატყობინებენ სტამბოლიდან: როგორც მთავრობის უმაღლესი პირნი იუწყებიან, ილდიზის დაჭერა სალონიკის ჯარს უმთავრესად იმისთვის უნდა, რომ იქაური სამხედრო საწყობები და დაწესებულებანი ჩაიგდოს ხელში.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**მთავარ საინტენდანტო სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვა.**

13 აპრილის სხდომა სათათბირომ მთლად საინტენდანტოს მოანდომა. ყველამ, ვინც-კი ამ დღეს ილაპარაკა, გაჰკიცხა ეს უწყება: იქ სულ ქურდები, მექრთამეები, ხაზინის გამფლანგავნი სხედანო. ამათ წყალობით სახელმწიფოსა და ხალხის დიდძალი ფული იკარგება, კერძო კაცები ივსებენ ჯიბეებს, მილიონების პატრონებად ხდებიან და სალდათები-კი დაგლეჯილის ფეხსაცმელით და ტანისამოსით დადიან, საჭმელიც ყოვლად უვარგისი აქვთო. არ იფიქროთ ამაებს ამბობდნენ მარტო მემარცხენეები, ასეთისავე კილოთი ლაპარაკობდნენ თვით ოქტომბრისტები და მემარჯვენენიც-კი. საინტენდანტო ერთად-ერთი უწყება გამოდგა, რომელსაც სათათბიროში არც ერთი მომხრე და მოსარჩლე არ აღმოაჩნდა. აქედან აშკარაა, რა წესები უნდა იყოს ამ უწყებაში! ოქტომბრისტმა გუჩკოვმა გაიხსენა ძველი ამბები, ის, რაც რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მოხდა. მართალია, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, თითონ ბრძოლის ველზე ასეთი ამბები არ მომხდარა, მაგრამ ბოროტმოქმედებას, ქურდობას და მექრთამეობას მაინც დიდი ადგილი ჰქონდა და აქვს ყველგან რუსეთშიო. ამავე ორატორის სიტყვით, სენატორ გარინს მოსკოვში საინტენდანტო დაწესებულებებში ისეთი ამბები აღმოუჩენა, რომ კაცი განცვიფრებაში მოვაო.

საინტენდანტოს მთავარმა გამგემ თავის სიტყვაში დაამოწმა, რომ დიდი ბოროტ-მოქმედება ხდება ჩემ უწყებაშიო, თვით მეო ორმოცი (ბევრი ამათში დიდი მოხელეა) მივეცი სამართალშიო, მაგრამ, დაუმატა მან, მაინც მთელი უწყების მოხელეთა გაკიცხვა არ შეიძლება. არის პატიოსანი ხალხიცაო.

ეტყობა, ასეთი კაცები ფარნით საძებარნი ყოფილან საინტენდანტო უწყებაში...

სათათბირომ ბოლოს, მიუხედავად ასეთ ცხარე კრიტიკისა, მაინც დაამტკიცა საინტენდანტო უწყების ხარჯთ-აღრიცხვა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აპრილი

### სპარსეთი

**თავრიზი.** ენჯუმენი შეშინდა უცხოელების ჩარევით სპარსეთის საქმეებში და იძულებული გახდა დეპეშით მოლაპარაკება გაემართა შაჰთან. 12 აპრილს მოვიდა შაჰის ბრძანება ეინუდ-დოვლესა და ჯარის უფროსებისადმი თავრიზში სურსათის შეტანისა და დროებით მორიგების შესახებ. ეს ბრძანება საგანგებოდ გაგზავნილმა შიკრიკმა ბასმინჯაში მიიტანა.

ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებლებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ ხმებმა, რომელიც შეეხება რუსის ჯარის შემოსვლას სპარსეთში.

**თეირანი.** ბაგეშაში ყოველ-დღე მინისტრების სხდომებია. პროგრესის პარტიას აშკარა გამარჯვება ეტყობა. არჩევენ და არკვევენ კონსტიტუციის წესებს. კონსტიტუციის წინააღმდეგნი არიან შეიხ-ფაზლულას მომხრენი, რომელთაც ამ ბოლო დროს სრულებით ეცლებათ ნიადაგი.

### ბალკანეთი.

**ვენა.** „კორ.-ბიუროს" ატყობინებენ, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის წარმომადგენელს სოფიაში დღეს გაუგზავნეს ინსტრუქცია ბოლგარიის დამოუკიდებლობის შესახებ. ოსმალო-ბოლგარიის შეთანხმება, რომელიც ოფიციალურად შეატყობინეს ავსტრია-ჰუნგრეთს და რომლითაც ოსმალეთი აღიარებს ბოლგარიის დამოუკიდებლობას, სრულიად უზრუნველჰყოფს აღმოსავლეთ რკინის გზების ინტერესებს. ავსტრია-ჰუნგრეთი შესაფერ განცხადებას წარადგენს გერმანიასთანა და იტალიასთან ერთად.

„პოლიტიშე"-ს ატყობინებენ სოფიიდან: მცოდნე წრეებმა შეიტყეს, რომ აღმოსავლეთ რკინის გზების საზოგადოება დასთანხმდა წინადადებას, რომლის თანახმად მისი დავა ბოლგარიასთან გადაეცემა გასარჩევად სამედიატორო სასამართლოს. ამის გამო ჰფიქრობენ, რომ ავსტრია-ჰუნგრეთი და გერმანია მალე აღიარებენ ბოლგარიის დამოუკიდებლობასო.

### საზღვარ-გარედ.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. ვეკერლეს სიტყვის შემდეგ კოშუტის პარტიის წევრმა ხოკმა განაცხადა: პარტიას თავის ჯიუტობით არა სურს, რომ კრიზისი შეჩერდეს, გადაუწყვეტელი დარჩეს, მაგრამ დათმობასაც თავის საზღვარი აქვს და ამ საზღვარს ვერ გადასცილდება პარტია. ხოკის შემდეგ კოშუტმა განაცხადა, რომ კაბინეტის გადადგომა ბანკის საკითხში წევრების უთანხმოებამ გამოიწვიაო. ტყუილია ის ხმები, ვითომც პარტია ბრძოლით დაღლილიყოს, მისი მეთაური პარტიის რწმენას მედგრად იცავდა ხალხის და ხელმწიფის წინაშეო.

იმპერატორ ფრანც-იოსების წინადადებით, იმპერატორი ვილჰელმი კუნძულ კორფუდან დაბრუნების დროს მაისის დამდეგს გაივლის ვენაზე, სადაც ცოტა ხანს დაჰყოფს.

**სოფია.** დამატებითი არჩევნების დროს აარჩიეს 31 დეპუტატი. აქედან მთავრობის მომხრე 28 კაცი.

**პარიზი.** ჰავასიის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ნიციდან: პრეზიდენტის ფალიერის მოკვლის განზრახვისთვის სენ-რაფაელში ეჭვით დააპატიმრეს ვიღაც აღნაროვი, ხოლო ნიცაში—ახალგაზდა ქალი მოიტი. პირველ გამოკითხვაზე ორივემ განაცხადა რომ პოლიტიკას არ მისდევთო. ფალიერის დასაცველად ზომებია მიღებული.

**ვილ-ფრანში.** პრეზიდენტმა ფალიერმა გერცოგის თანხლებით დაათვალიერა იტალიის გემები.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. პალატა ხალხით სავსეა. დეპუტატებიც თითქმის ყველანი არიან. მინისტრებს ვეკერლეს, კოშუტსა და გრაფ აპონის დიდის ამბით მიეგებნენ. ვეკერლემ საერთო აღტაცების დროს წარმოსთქვა სიტყვა. განაცხადა, რომ კაბინეტი სამსახურიდანა გადადგება, რადგან ავსტრიის მთავრობასთან მოლაპარაკებამ ფუჭად ჩაიარა: ჰუნგრეთის კაბინეტის წევრებმა ვერა გაიწყეს-რა ეროვნულ ბანკის დაარსების საქმეშიო. ვეკერლემ წინადადება მისცა პალატას, შესწყვიტოს სხდომა იმ დრომდე, ვიდრე საქმე კარგად არ გამოირკვევა.

**ვენეცია.** 11 აპრილს აქ გაიხსნა მერვე საერთაშორისო სამხატვრო გამოფენა. ცალკე პავილიონებში მოთავსებულია განყოფილებანი ბავარიისა, ბელგიისა, ინგლისისა და ჰუნგრეთისა. უმთავრეს შენობაში და ორს დარბაზში მოთავსებულია ასი ყველაზე უფრო გამოჩენილი ნაწარმოები. დანარჩენი დარბაზები დათმობილი აქვთ ცალკე მხატვრების სპეციალურ გამოფენებს.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის სასამართლომ გერცენშტეინის მოკვლის შესახებ ვქილის შუამდგომლობის თანახმად ახალი მოწმეს გამოჰკითხა. რადგანაც მოწმებმა სასამართლოს ახალი ცნობები მისცეს და ექიმმა დუბროვინმა ორჯერ უარი სთქვა, სასამართლოში არ გამოცხადდებიო. სასამართლომ დაადგინა დუბროვინი სამართალში მისცეს. დუბროვინს გერცენშტეინის მკვლელების წაქეზებას აბრალებენ. შემდეგი სხდომა 5 მაის.

**ასტრახანი.** თავი მოიკლა ფოსტალიონმა, რომელმაც 8,000 მანეთის ფასიანი პაკეტები გაიტაცა. ფოსტალიონს დაუხარჯია 5966 მანეთი, დანარჩენი ფული ხელუხლებელი ნახეს.

**ბრესტ - ლიტოვსკი.** ბრესტ-ზაკრუტეინის ახლო დაეჯახნენ საქონლის მატარებლები. დაიმტვრა ორთქმავალი და 4 ვაგონი. დაჭრილია მაშინისტი და კანდუქტორი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა ერთი, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ვარშავა.** გენერალ გუბერნატორის ბრძანებით რევიზიამ უშვრებიან ქალაქის თვითმართველობას.

**ტულა.** მოსკოვის სამოსამართლო პალატამ განიხილა სად. ბელევზე მომხდარ გაფიცვის საქმე. სამართალში 7 კაცი იყო მიცემული. პალატამ მიუსაჯა ორს ორ-ორთლი წლით ციხე, ერთს-ერთი წლით, დანარჩენები გამართლა.

**პეტერბურგი.** სენატმა შეიწყნარა დოპუხინის შუამდგომლობა, რომ მის მხრიდან მოწმებად, სხვათა შორის, გამოიწვიათ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი სვიატოპოლკ-მირსკი და საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი არბუზოვი. სენატმა უარჰყო მისი შუამდგომლობა, რომ მის საქმესთან ერთად სასამართლოს განეხილა პოლიტიკურ ბოროტმოქმედებათა 15 საქმე. დოპუხინის საქმის გარჩევა 28 აპრილს დაიწყება.

სენატის პირველ და საკასაციო დეპარტამენტების საზოგადო კრებამ უყურადღებოდ დასტოვა სტამბის პატრონის ერმოლაევის საჩივარი. ერმოლაევი ეაზანის გუბერნატორს 20,000 მანეთს უჩიოდა, ამავე კრებამ უყურადღებოდ დასტოვა „პოლტავშჩინას" რედაქტორ-გამომცემლის სმაგინის საჩივარი. სმაგინი ჩიოდა, რომ პოლტავის გუბერნატორმა 19,000 მანეთის ზარალი მომაყენა და ამინაზღაურეთო.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **წ.-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი.** ამ დღეებში წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ აცნობა ბათუმისა, სენაკისა, სამტრედიისა, ხონისა, ქუთაისისა, ზესტაფონისა, ჭიათურისა, კავკავისა და ბაქოს განყოფილებათა გამგეობებს, რომ სათანადო მთავრობას უკვე ეცნობა განყოფილებათა დაარსების აზბავი და შეუდექით მოქმედებასაო. სხვაგანაც ფიქრობენ განყოფილებათა დაარსებას, მაგალითად — ახალციხეში, გორში, ცხინვალში, დუშეთში, თელავში, თიანეთში და სიღნაღში.

✦ **საცდელი მინდვრები.** ერთი თვე იქნება, მიწათ-მოქმედების ინსპექტორის ვასილევის თავმჯდომარეობით სპეციალისტებს [illegible] აქვთ საცდელ მინდვრებისა და აგრონომიულ [illegible] შესახებ. განიხილეს მრავალი მოხსენება. კომისიის აზრით, კავკასიაში სამ გვარი საცდელი სადგური უნდა გაიმართოს. საცდელი სადგური გაიმართება, სხვათა შორის, იმის გასაგებად, თუ მთა-გორიან ადგილებში რა ჯიშის ხორბლეულობა იხეირებს. ტფილისსა და ქუთაისშიაც გაიმართება სადგურები. სარწყავ ადგილებისათვის სადგურებს გამართავენ განჯასა და ერევანში. სოხუმში გაიმართება სადგური მეხილეობისა, მეღვინეობა-მევენახეობის შესასწავლად და ამ დარგთა შესახებ ცოდნის გასავრცელებლად. ცენტრალური სადგური ტფილისში დაარსდება. საქარის სანერგე შორაპნის მაზრა გადაკეთებული იქნება ღვინის დამზადებელ სადგურად. მევენახეობა-მეღვინეობის სადგურები გაიმართება კახეთშიაც. კომისიამ შეიმუშავა ხარჯთ-აღრიცხვაც. ყოველ წლობით თითო სადგურის შესანახად საჭირო იქნება 40,000 მან., ხოლო ყველა აღნიშნულ სადგურის მოსაწყობად ერთ დროულად საჭიროა 200,000 მანეთი.

✦ **გ. ავლაძის დაკრძალვა.** გუშინ, 14 აპრილს, ტფილისში დაკრძალეს გიორგი დავითისძე ავლაძე. განსვენებული ოცდა ორი წელიწადი მასწავლებლად იყო ტფ. ქართულ გიმნაზიაში. ამ რამდენიმე წლის წინად ავადმყოფობის გამო მასწავლებლობას თავი გაანება. ერთი კვირის წინად დამბლა დაეცა და განსვენებული წუთი-სოფელს გამოასალმა. გუშინ ცხედრის დაკრძალვის გამო ქართულ გიმნაზიაში სწავლა არა ყოფილა. ცხედარი გააცილეს მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა.

✦ **ძვირფასი შემოწირულობა.** მიხეილ სვიმონის ძემ ზედგინიძემ შესწირა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ძვირფასი არქეოლოგიური და ნუმიზმატიური კოლექცია. არქეოლოგიურს ნივთებში შესანიშნავია კავკასიაში ძნელად საპოვნელი ქვის იარაღი: კვერი და საუცხოოდ ნახელოვნები ცული; ამას გარდა ბრინჯაოს სამ-

## ფელეტონი

### სამეგრელოს მთავარი ლევან

დრამა ხუთ მოქმედებად.

ვასილ ყიფიანისა

(შემდეგი *)

9.

**დარეჯან.** მობრძანდით, მობრძანდით, ქაიხოსრო! რით არის, რომ გაჰბედეთ ჩვენთან მოსვლა?!

**ქაიხოსრო.** როგორ! განა გაბედულობა უნდა თქვენთან მოსვლას?!

**დარეჯან.** რა ვიცი,—ასე გვესმის. მობრძანდით, დაბრძანდით, ჩემო ბატონო! მოხარულნი ვართ, დიდად მოხარულნი.

**ქაიხოსრო.** არა, ბატონო დარეჯან: მე იმ მდგომარეობაში არა ვარ, რომ ძმის ზრახვას ვერიდებოდე და ჩემ საქციელს სხვისა სურვილს ვუფერებდე, თუმცა ძალიან მიყვარს და დიდად პატივსა ვცემ ჩემ ძმას ლევანს (ჯდება). და არც ლევანია, მერწმუნეთ, ისეთის გულით თქვენზე, რომ საწყენად დარჩეს ჩემი აქ მოსვლა. დამიჯერეთ, იმის გულის [illegible] რო ვიცი, ის ეხლა დიდად სწუხს და ნანობს თქვენს მოშორებას.

**დარეჯან.** მეც მაგას ვამბობ, ქაიხოსრო: თავის დღეში არ დავიჯერებ, რომ ლევანმა გაიმეტოს და სამუდამოდ გასწიროს თავისი საყვარელი ბიძა, მშობელ მამასავით შეტკბობილი.

**გიორგი.** იყო შეტკბობილი და აღარ არის: ლევანის სიყვარულმა სხვა საგანი ჰპოვა თავის სავარჯიშოდ (ცოლს თვალებში უყურებს).

**დარეჯან.** თუ მარიამზე ამბობ, გასაკვირველი არ არის, ბიძაზე უფრო უყვარდეს—ამაზე ვერავინ დაემდურება. არც და არის გასაკიცხი ძმის სიყვარულისათვის, მაშინაც კი, როცა ერთი ძმა მეორეზე მეტად მიაჩნია—საწყენად არ უნდა მიიღოთ ქაიხოსრო: ლევან მამით არის მისი ძმა და თქვენ კი დედით.

**ქაიხოსრო.** მერწმუნეთ, ეგ სულ უსაბუთო იჭვიანობაა: მარიამაქ არაფერ შუაშია, ლევანის ხასიათი ყველამ კარგად ვიცით: იფეთქა და გონებიდან გამოვიდა; გარემოება იყო ისეთი. დარწმუნებული ვარ, რომ ეხლა ის მწვავის სინანულით იგონებს იმ სამწუხარო შემთხვევას, და, თუ აქამომდე არ მოხდა შერიგება, ეს იმიტომ, რომ აქედან ელის მოსიყვარულე გულთა გადაშლას.

**გიორგი.** მაგაში ქალები უფრო დახელოვნებულნი არიან. (გადახედავს ცოლს).

**ქაიხოსრო.** რას მოგახსენებთ: მე რომ ლევანის გულჩვილობა ვიცი, დაბეჯითებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ნინოსაც დიდის სიამოვნებით შეირიგებს, შუამავლობა რომ იკისროს ვინმემ.

**დარეჯან.** ოჰ, ნეტავი! ოღონდ კი ეგ მოხდებოდეს, ოღონდ კი დედოფალს შეირიგებდეს და ჩვენ... ჩვენ თუნდ თავის დღეში ნუ მიგვიკარებს.

**გიორგი.** (თავისთვის). ჰოო, მზაკვარო!

**ქაიხოსრო.** არც ისე ძნელი საკისრებელია, უნდა მოგახსენოთ: მონდომის მეტი არა უნდა რა.

**გიორგი.** მეც დიდი მოხარული ვიქნებოდი, მაგრამ მათი შერიგება შეუძლებელია.

**დარეჯან.** რატომ?

**გიორგი.** არის მიზეზი. (უყურებს თვალებში).

**დარეჯან.** რა მიზეზი? ერთხელ წასცდა ფეხი, უბედურება შეემთხვა: საფლავამდის ხომ არ ჩაჰყვებიან?!

**ქაიხოსრო.** წასცდა კი? სწორედ მოგახსენოთ, მე ძალიან ვეჭვობ: როგორღაც მოხერხებულსა ჰგავდა ს საქმე.

**გიორგი.** ჭეშმარიტებას ამბობ, ქაიხოსრო: დედოფალი ზნე-ხასიათის სიწმინდით და სისუფთავით ყოვლად უმანკოა. რაც მოხდა, ყველა ეს ოინია ერთი უნამუსო დედაკაცისა, რომელმაც გაიძევა დედოფალი და თვით დაუჯდა ხასად მეუღლეს. (შეხედავს ცოლს).

**დარეჯან.** რა საოცრელია, ეგრე რო ყოფილიყო, ჩვენც გავიგებდით.

**ქაიხოსრო.** არც მე გამიგონია, სწორედ მოგახსენოთ.

**გიორგი.** ჭეშმარიტება არის, როგორც ეხლა დღის სინათლეა: ის არის მეუღლე ერთი უბედური ქმრისა, რომელიც დაბრმავებული იყო ცოლის თვალთმაქცობით და, მოხიბლული მისი მშვენიერებით, ვერ ხედავდა, რანაირად ჰღალატობდა.

**ქაიხოსრო.** ვინ არის ის უბედური? რატომ ჩვენც არ ვიცით? არ შეიძლება გავიგოთ?

**გიორგი.** წარჩინებული და ქვეყანაში თავის დაგვარ პატივცემული.

**ქაიხოსრო.** ნუ იტყვით!

**გიორგი.** დიახ! მას თავი მოჰქონდა ყმაწვილის ცოლით და დღეყოველ იმის ფიქრში იყო, რომ ესიამოვნებინა. იგი ერთ-თავად თვალებში შესცქეროდა, ხარობდა იმის სიხარულით, ლოცულობდა იმის სახელს; ამისთანა ქმარს უღალატა, დაუბნელა სამუდამოდ ბედი, შეუბრალებლად ამოგლიჯა გულის საგანძურიდან ერთად-ერთი საუნჯე მისი და ფეხ-ქვეშ გაქელა.

**დარეჯან.** შენ ისე ლაპარაკობ, რომ ლამის გული აგვიჩუყდეს.

**ქაიხოსრო.** ჭეშმარიტად შესაბრალისია ის უბედური. ნეტავი ვინ არის? წარჩინებული თუა, ჩვენ უნდა ვიცნობდეთ.

**გიორგი.** იცნობთ, ყველანი კარგად იცნობთ. არც ისე შესაბრალისია, როგორც ფიქრობთ; შესაბრალისი იყო, სანამ გაიგებდა, და დაბრმავებული იყო; ეხლა იმან იცის თავისი უბედურება; გულში ჩაიკლა მისი სიყვარული და ემზადება გადახდას (უყურებს ცოლს). ჰოო, საშინელი იქნება იმ სი შურის ძიება! მე კარგად ვიცნობ იმას: ჯოჯოხეთს გაუჩენს ამ ქვეყნად; საკუთარის ხე[illegible] დაუგლეჯს მშვენიერ პირსა, [illegible] შეუძლის სახეს, რომ სარკეში [illegible] ზაროს თავის დანახვა და ბავ[illegible] საკვირველო ბერვად გადაიქცეს; მთელ სიცოცხლეს გაუმწარებს; მის გოდებას, მის საზარელ ტანჯვის ხმას მთელ ქვეყნის პირს მოჰფენს, რომ კარგად იცოდნენ, რა მოსდევს ქმრის ღალატს, ნათესაობის დაგმობას, სისხლის შერევას. დამავიწყდა, ვერ გითხარით: ის კაცი მეფის ნათესავია.

**ქაიხოსრო.** რა ვქნა, შენ ისე ლაპარაკობ, რომ საშინელი იჭვი გვებადება.

**დარეჯან.** არაფერი მესმის: ეს გულსაკლავი კილო საყვედურისა, ღელვა უმიზეზ... ჰოო, გულუბრყვილობავ, ნათელო სიმართლისა! გამოდი იჭვიდან, ქაიხოსრო! ვიცი ვერ დაგიჯერებია გული, რომ ის კაცი მე ვარ, ბიძა მეფისა, მისი შვილივით აღმზრდელი. (წამოდგებიან). ჰაა! შეკრთი განა?! ჰოი, დაუნდობელო დიაცო! (მკლავს დაუჭერს და გამოიყვანს შუაზე);

**ქაიხოსრო.** შეიკავე თავი, გიორგი! (წაიწევს საშველად).

**გიორგი.** გამოდი, გამოდი სინათლეზე, გამოდი საქვეყნოდ! ეს არის, ქაიხოსრო, ის უნამუსო!

**ქაიხოსრო.** პატივი დასდე შენ თავს, გიორგი!

**დარეჯან.** რადა, რადა მკრი თავს?!.

**გიორგი.** ამან ჰგმო ნათესაობა, წმინდა კავშირი ცოლქმრობისა, ქვეყანაში გამომწყვიტა.

**დარეჯან** რომელმა ავსულმა შთაგაგონა, რომ მოღალატე ვარ შენი?! საიდან გამოიღე, რომ ხასად ვუზივარ ლევანს?! (გიორგი გაუშვებს ხელს) მე, ლევანის ხასა?! ვინ ჩაგაწვეთა ყურში ეგ საშინელება?

**გიორგი.** სთქვი, სთქვი! (გულზე დაიკრებს ხელებს).

**დარეჯან.** მე, თავდადებული მეუღლე, რომელსაც თავი მომწონდა ჩემის ერთგულობით, რომელსაც სხვა სიხარული არა მქონდა გარდა ჩემი ქმრის ბედნიერებისა, მე ვარ მოღალატე?!.

**გიორგი.** ჰოი, თვალთმაქცო, ხმატკბილო ჯადოსანო, გვაჩვენე შენი ჯადო! (მიიწევს, ქაიხოსრო შეიკავებს) მოდი, ამოგგლიჯო ეგ მოქარგული ენა, ამოგთხარო ეგ მაცდური თვალები!

**ქაიხოსრო.** გიორგი გონს მოდი!

**დარეჯან.** ადამიანო, რას მერჩი?! ღმერთს შეხედე! გეუბნები, არა მაქვს დანაშაული მეთქი!

**გიორგი.** სტყუი! საბუთი მაქვს.

**დარეჯან.** შეჩვენებული ვიყო, ნუ გამიგენოს ღმერთმა ხვალინდელი დღე, თუ ეგ ცოდვა მქონდეს. ვფიცავ ღმერთს...

**გიორგი.** როსკიპის ფიცი!

**ქაიხოსრო** გამიგონე, გიორგი! ძმასავით მწამხარ, მაგრამ გეუბნები, შენი ქცევა შეუწყნარებელია: ეგრე დატუქსვა მეუღლისა, ეგრე უსაბუთოდ მისი შეურაცყოფა, რომ არ იქნება!

**გიორგი.** აბეზარს მოგიყვანე განა, ქაიხოსრო?! ვუმტყუნე ჩემ დინჯობას. ბოდიშს ვიხდი. აბა ეხლა ჩემ გულში ჩაიხედე, რა ამბავია. ნახე, რა საშინელის გაჭირებით ვიკავებ ჩემ თავს, რომ არ იფეთქოს სამართლიანმა წყრომამ გაფთრებულ მხეცისამებრ და აქვე არ მოვახრჩო მოღალატე. იჭვი უსაბუთო ჰგონია, მაგრამ საბუთი ხელში მიჭირავს.

**დარეჯან.** სიცრუეა!

**გიორგი.** თვით განიწესოს სასჯელი, თუ დამტკიცდა.

**დარეჯან.** აქვე ჩემის ხელით გამოვიჭრი ყელსა.

**გიორგი.** აი წერილი, მაგის ხელით ნაწერი. წაიკითხე! (აძლევს ქაიხოსროს).

**დარეჯან.** რა წერილი? მართალია, წერილი მივწერე, მაგრამ რა ვუყოთ მერე!

**გიორგი.** წაიკითხე, წაიკითხე! ხმამაღლა!

**ქაიხოსრო.** აბა რა საჭიროა! რა იქნება!

**დარეჯან.** წაიკითხეთ, ქაიხოსრო, წაიკითხეთ!

**ქაიხოსრო.** თქვენი ნებაა. (კითხულობს). „ლევან! შენმა წერილმა უსაზღვრო სიხარულით აღმივსო გული. აი ჩემი მოკლე პასუხი: მიყვარხარ, ლევან, უზომოდ მიყვარხარ, მიყვარხარ ისე, რომ რა ვსთქვა" (გადააბრუნებს წერილს). ვინ აწერს ხელს? (კითხულობს). „შენი დარეჯან". (გადახედავს დარეჯანს).

**დარეჯან.** სირცხვილი, სირცხვილი თავის ცოლის მზვერავს!

**გიორგი.** წაიკითხე, წაიკითხე!

**ქაიხოსრო** (კითხულობს). „მიყვარხარ კეთილი გულისათვის, რომელლიც სავსეა სათნოებით, მაგრამ უნდა იცოდე, რომ შენზე მეტად მე ჩემი ქმარი მიყვარს". (გადახედავს გაკვირვებით გიორგის).

**დარეჯან** წაიკითხეთ, წაიკითხეთ!

**ქაიხოსრო.** (კითხულობს). „და თუ აქამომდე პატივს ვცემდი მას და თავი მომქონდა ჩემი ბედნიერებით, დღეს, მას შემდეგ, როცა, შენგან შეურაცხყოფილი, სიტყვა შეუბრუნებლად შინ დაბრუნდა შურისძიებისაგან სრულებით თავისუფალი, მე იმას ვაღმერთებ, თაყვანსა ვცემ მის სულგრძელობას, დიდ-სულოვანობას".

**ქაიხოსრო.** არ მესმის, აქ რა არის გასაკიცხი?!

**გიორგი.** ჩემი უგუნურობა.

**დარეჯან.** ბოლომდის, ბოლომდის წაიკითხე!

**ქაიხოსრო** (კითხულობს). „მაგრამ

*) იხ. „დროება", N 80

კლავეები, თიხის ჭურჭელი და სპილენძისა და რკინის იარაღი. ნუმიზმატიურს კოლექციაში არის 79 ვერცხლის ფული და 80 სპილენძისა სხვა და სხვა დროისა: კოლხიდური, რომაული, ბიზანტიური, არშაკიდური, სასანიდური, მუსულმანური, რუსული, ევროპიული და ქართული—თამარ მეფისა, რუსუდანისა, ბაქარისა, ერეკლე მეორისა, გიორგი მეთორმეტისა და მე-19 საუკუნის დასაწყისისა.

✦ **ადგილები იჯარით**. გუშინ, 14 აპრილს, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დაიწყო საჯარო ვაჭრობა რეიტერის ქუჩაზე, ავლაბარში, ქალაქის მიწების იჯარით გასაცემად. როგორც ვწერდით, ქალაქის საბჭოს ნებართვით გამგეობამ ნაჭრებად დაჰყო ქალაქის ადგილები. ამ დღეს ვაჭრობაში სამმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მიეცათ მათ 20 კაპეიკად 34 წლის ვადით.

✦ **გაზეთის დაკეტვა**. ადმინისტრაციის განკარგულებით დაუკეტიათ ყოველდღიური რუსული გაზეთი „რუსკი კავკაზი“.

✦ **სააბრეშუმო სადგურები**. ყოველ წლობით ტფ. სააბრეშუმო სადგურის შესანახად იხარჯება 45,000 მან. სათანადო მთავრობამ გადასწყვიტა სადგური გააუქმოს და იმის მაგივრად სააბრეშუმო სადგურები გამართოს ქუთაისში, ნუხაში, შუშის მაზრაში; მეოთხე სადგურისთვის ჯერ ადგილი არ არის გამორჩეული.

✦ **ხევსურების გადასახლება**. კავკ. ნამესტნიკის განკარგულებით, ბუჩუკურისა და ჩრდილის მცხოვრებ ხევსურებს ნება მიეცათ, დასახლდნენ ცივ გომბორის სახაზინო მიწებზე.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო**. 13 აპრილს მოხდა ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა. საბჭომ ხუთი-ექვსი საქმე განიხილა: დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლითაც კონდრატენკოს სახელი დაერქმევა კუბის ქუჩას. ავჭალის სახალხო კითხვათა აუდიტორიას ამას წინად დაენიშნა 400 მანეთამდე. თავის დროზე ეს ფული არ გაუტნიათ. ამიტომ ეხლა ითხოვეს იგი. საბჭომ ნება დართო გამგეობას, მისცეს ფული. საბჭომ ამავე სხდომაზე დაამტკიცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც ეგრედ-წოდებული „ნემეცების“ არხი ყველგან უნდა დაიხუროს.

✦ **კახეთის რკინის გზა**. „ზაკავ.“-ს სიტყვით, მართალი არ არის „კავკაზი“-ს ცნობა, ვითომ თავადაზნაურობისათვის მიეცეთ კონცესია კახეთის რკინის გზის გასაყვანად.

✦ **ილია ჭავჭავაძის ფონდი**. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მიიღო 886 მან. 24 კაპ. სულ ილიას ფონდში არის 13,821 მან. 43 კაპ.

✦ **აკაკის ფონდისთვის**. ზესტაფონის საიუბილეო კომიტეტისაგან წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ აკაკი წერეთლის სახელობის სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად მიიღო 267 მან. 35 კაპ.

✦ **დაპატიმრება**. როგორც სიონ. ღიდან გვატყობინებენ, მარტის შუა რიცხვებში იქ დაუპატიმრებიათ თომა კავლიშვილი.

✦ 13 აპრილს ღამე ოლგას ქუჩაზე დააპატიმრეს ჯარიდან გაქცეული ივანე გარდაძე. ამავე დღეს შეიპყრეს სპარსეთის ქვეშევრდომი მთრენას იუნესი, რომელსაც ბრალდება 28 იანვარს სარაიონასის მძიმედ დაჭრა. დაპატიმრებული გამოტუდა.

✦ ტფ. პოლიციის „ოხრანნი“ განყოფილებამ დიდუბეში დააპატიმრა გუშინ წინ ოთხი კაცი—ბალდასარ ოჭანეზიანცი, ილია გრიგოლაშვილი და ივანე გაშაკაშვილი. ეჭვი აქვთ, რომ ესენი ექსპროპრიატორები არიან.

ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ერთი თუმნით დააჯარიმეს ტფ. მცხოვრები ეკატერინე ფირუმოვისა, საადრესო სტოლის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

# უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

**სულთანს ტახტიდან შეშლილად გამოაცხადებენ.**

„რუსკ. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება: ამბობენ, რომ ამ დღეებში სულთანს აბდულ-ჰამიდს ტახტიდან შეშლილ და გამოაცხადებენ. ამის შემდეგ შეიხ-ულ-ისლამი ფეტვას შეადგენს და შარიატის ძალით ტახტიდან გადააყენებს სულთანსაო.

როგორც „რეჩ“-ის კორესპონდენტი იუწყება, ახალგაზდა ოსმალები, ტახტიდან შეშლილის გარდა, სხვა კანონიერ საბუთსაც იშოვიან სულთნის ტახტიდან ჩამოგდებისთვისო. კორესპონდენტი სწერს: „სრული კანონიერი საბუთი იქნება სულთნის ტახტიდან ჩამოგდებისთვის, თუ გამოირკვევა, რომ ჯარის კაცებს აფიცრები სულთნის ბძანებით დაუხოცნიათ და რომ მას უნდოდა დარღვევა კონსტიტუციისა, რომელსაც ერთგულება შეჰფიცა. აფიცრების დახოცვა და ფიცის გატეხა ყველა ეს ეწინააღმდეგება სჯულსა და შარიატსა“.

„რუსკ. ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება: ჯერ არ იციან ნამდვილად დარჩება სულთანი ტახტზე თუ არა. ახალგაზდა ოსმალთა ნაწილი თხოულობს, რომ სულთანი ტახტზე დარჩეს იმ პირობით, თუ იგი დაამტკიცებს, რომ მონაწილეობა არ მიუღია კონტრ-რევოლიუციაში, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფოები ჩაერივნენ ოსმალეთის საქმეებშიო.

**სახელმწიფოები ეხმარებიან სულთანს.**

გერმანიის ელჩმა მარშალმა იმპერატორ ვილჰელმის სახელით სთხოვა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს, სულთანი ტახტზე დატოვეთო.

გერმანიის ელჩს მხარს აძლევს ავსტრიის ელჩიც.

ამბობენ, სულთანმა დეპეშა მისწერა იმპერატორ ვილჰელმს კუნძულ კორფუზე და დახმარება სთხოვაო.

როგორც ისმის, რუსეთის ელჩი ზინოვიევიც ბეჯით დახმარებას დაჰპირებია სულთანს.

**რეაქციონერების მზადება საბრძოლველად**

ოსმალელი რეაქციონერები ძლიერ აგიტაციას ეწეოდნენ თურმე სტამბოლის ჯარში. სულთანს დიდი იმედი ჰქონდა ფლოტის ერთგულებისა და სამღვდელოების დიდის დახმარებისა. რეაქციონერებმა ყველა მხარეს აფრინეს სოფტები აგიტაციისთვის. სულთნის აგენტები დიდ ფულს ურიგებდნენ სტამბოლის ჯარისკაცებს და ევედრებოდნენ, რომ მათ წინააღმდეგობა გაეწიათ სალონიკის ჯარისთვის. სულთნის ადიუტანტმა ტალაშ-ფაშამ ყველა კაზარმა დაიარა და ჯარის კაცებს შეევედრა სულთნის ერთგულება გამოიჩინეთ, ნუ უღალატებთ ფადიშაჰსაო. ერთის სიტყვით, რეაქციონერებმა ყოველ ღონისძიება მიიღეს, რომ სტამბოლის ჯარს წინააღმდეგობა გაეწია ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის ჯარისთვის. გასწია კიდეც ეს წინააღმდეგობა სულთნის ერთგულმა ჯარმა, მაგრამ, როგორც ვიცით, ჯარმ, მწარედ უწყალოდ გაანადგურა სულთნის მომხრე ჯარი სტამბოლში.

**კომიტეტის ჯარი.**

უცხოელ გაზეთების კორესპონდენტები ყველანი ერთხმად სწერენ, რომ დიდი განსხვავებაა სტამბოლის თავაშვებულ და ალვირ-ახსნილ ჯარსა და ახალგაზდა ოსმალთა კარგად გაწრთვნილ, ნასწავლ და კეთილსინიდისიერ ჯარს შორისო. კომიტეტის ჯარში აფიცრები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი მათგანი ენვეირ-ბეის მეთაურობით სულთნის ტახტიდან ჩამოგდებას თხოულობს, მეორე—მორიგების მომხრეაო. კომიტეტის ჯარი მუსიკით შესულა სტამბოლში და იქაური ხალხიც დიდის ალტაცებითა და სიხარულით მიჰგებებია.

**რამდენ კაცის დასჯას თხოულობს კომიტეტი.**

გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა სია შეადგინა იმ პირების, რომლებიც უნდა დაისაჯნენ კონტრ-რევოლიუციაში მონაწილეობის გულისთვის. ამ სიაში მოქცეულია 543 კაცი; ესენი არიან სულთნის სასახლის მოსამსახურენი, ლიტერატორები, სამხედრონი და სამღვდელონი.

**ძველი ოსმალური წესები.**

კონტრ-რევოლიუციის დროს, როგორც ვიცით, გამხეცებულმა ჯარ-კაცებმა მოჰკლეს, სხვათა შორის, ნიჭიერი გენერალი, იზეტ-ფუად-ფაშა. მისი ბიოგრაფია მეტად დამახასიათებელია ოსმალეთის ძველის წესებისთვის, განსვენებულმა მიიღო კარგი სასარგებლო და სამხედრო განათლება, რომელიც საფრანგეთში დაამთავრა; მერე იქვე საფრანგეთში, დიდხანს იყო ოსმალეთის სამხედრო აგენტად. ფუად-ფაშამ იმ ხანებში დუელში გამოიწვია ერთი კაცი, რომელსაც ცუდად მოეხსენებინა სულთანი. ამ დუელის გამო სულთანმა დააწინაურა იგი და მნიშვნელოვანი თანამდებობა მისცა თავის სასახლეში. მაგრამ სომხების გაწყვეტის დროს, ფუად-ფაშას პროტესტი განეცხადებინა. სულთანი ამაზე გასწყრომოდა და 5 წლით ალეპოში გადაესახლებინა სომხების მოსარჩლე ფუადი. შემდეგ იგი დანიშნეს ოსმალეთის ელჩად მადრიდში, სადაც ფუადი ღიდს გაჭირვებაში იმყოფებოდა, რადგან ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ჯამაგირს არ უგზავნიდა. ფუად-ფაშამ, მოთმინებიდან გამოსულმა, შემდეგი წერილი დაბეჭდა გაზეთებში პირდაპირ სულთნის სახელობაზე:

„რადგან ჩემს წერილებს, დეპეშებსა და საჩივრებზე არავითარი პასუხი არ მივიღე, ამიტომ ეს გზა ავირჩიე. მე უდიდესი უსამართლობა გამოვცადე და მოკლებული ვარ კანონის მფარველობას; ამას გარდა მე ჩამომართვეს მამულები იმის გულისთვის, რომ დედა ჩემმა შეირთო „ურჯულო“ (ქრისტიანი), მე დამკარგეს ალეპოში, რადგან სომხების ამოწყვეტა არ მოვიწონე. როცა სტამბოლში დავბრუნდი, ყველა ჩემი თხზულება აკრძალეს, მათ შორის ტარტარენის თარგმანიც, რომლის გაყიდვა კარგ ხეირს შემძენდა. მას აქეთ, რაც ესპანიაში ვარ გამწუხებული ომი მაქვს ატეხილი ფინანსთა მინისტრთან ჯამაგირს არ აძლევენ საელჩოს მოსამსახურენი უკვე ექვსი თვეა ჯამაგირს არ იღებენ და მშივრები იხოცებიან. ს ელჩო სამწუხარო მდგომარეობაშია; ყოველ დღე მოვალეები [illegible] რუსტის ფირმა [illegible] ულობს [illegible] გება 11 თვის წინად გარდაცვლილ ჩემის წინამადგილის დასაფლავებისთვის. მე ვარწმუნებ ფირმას, რომ მას ალბად ერთბაშად მისცემენ ფულს მაშინ, როდესაც მეც გადავიცვლები, მაგრამ იგი არ მიჯერებს. გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, გადაიხადოთ ეს ვალი და ნუღარ მაწამებთ იმის გულისთვის, რომ მოხსენება შევადგინე რეფორმებზე რომლებსაც კიდევ ელის ოსმალეთისგან გულუბრყვილო ევროპა, და იმ ბოროტმოქმედებაზე, რომელიც ჩაიდინეს სტამბოლის სიმაგრების აგების დროსა დამიბრუნეთ ჩემი მამულები. გაიხსენეთ ჩემი 30 წლის სამსახური, დუელი თქვენის გულისთვის, ჩემი მონაწილეობა ორს ომში და სამსახურიდან დამითხოვეთ. მადრიდში ყოფნა ჩემთვის იგივე აღმოჩნდა, რაც ალეპოში გადასახლება იყო. გთხოვთ დამითხოვოთ სამსახურიდან. თქვენის უდიდებულესობის ერთგული ქვეშევრდომი, დივიზიის უფროსი გენერალი იზეტ-ფუადი“.

# რუსეთი

✦ **სიკვდილით დასჯა**. სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: კიევში ორს, ხარკოვში 1, მოსკოვში 2, ვარშავაში 1, იურიევში 1, ღრიცლში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: სევასტოპოლში 4, ოდესაში 1, ნიკოლაევში 1, რიგაში 2, კამენეც-პოდოლსკში 2 კაცი.

✦ **მიწათ-მოქმედების მინისტრის ყოფილ ამხანაგის ნიკიტინის საქმე**. მიწათმოქმედების მინისტრის ყოფილ ამხანაგს ნიკიტინს, როგორც ვიცით, უმოქმედობა ჰბრალდება. მის საქმეს სენატი გაარჩევს მაისის ბოლო რიცხვებში.

✦ **ნაფიც ვექილ გილერსონის საქმე**. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება ნაფიც ვექილმა გილერსონმა ბელოსტოკის აწიოკების პროცესში მიიღო მონაწილეობა. იგი აწიოკებულთ იცავდა. სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვის გულისთვის იგი სამართალში მისცეს. მისი საქმე ქალაქ გროდნოში, 22 მაისს გაირჩევა, გილერსონის დამცველებად მთელი რუსეთის ნაფიც ვექილთა საბჭოების წარმომადგენლები გამოვლენ.

---

ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, ამიტომ ნუ მიწყენ, თუ ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ ბიძა შენი არ მოვიდეს შენთან საბოდიშოდ: შენა ხარ დამნაშავე და პირველი ნაბიჯი შენი ვალია. გელით. ჩვენი გული შენთვის ხსნილია“.

**დარეჯან**. აი, ეს არის ჩემი ლალატი!

**გიორგი**. ვხედავ, ვხედავ ჩემ უსამართლობას, ჩემ სიავ-კაცეს; სირცხვილით უნდა ვიწოდე, სინანულით ვიდაგებოდე, მაგრამ, ხედავ, სიხარულისაგან გული ლამის ამომვარდეს: ჯოჯოხეთის უფსკრულიდან ამოველ, დარეჯან, ცის სინათლეზე და კვლავ ამევსო გული ლხინითა.

**დარეჯან**. მე კი მომკალი და!

**გიორგი**. დამსაჯე, როგორც გინდოდეს, დიდია ჩემი დანაშაული და დასჯილ უნდა ვიყვე. აჰა, შემიბამს თოკი მორჩილებისა და ვეგებები სიხარულით სასჯელს.

**დარეჯან**. რა სარგებელია მერე შენი დასჯისაგან?!

**გიორგი**. დარეჯან, ავირიე, გავგიჟდი: საშინელი იჭვი შთამინერგეს გულში და გონება დავკარგე.

**დარეჯან**. ქმრის იჭვიანობა დიაცთა ხვედრია, მაგრამ რაღა ჩემი მაზლის-წული დამწამეს! რომელმა ავსულმა ჩაგაწვეთა გულში ეგ საზიზღარი ცილის-წამება?!

**გიორგი**. გეტყოდი, რო ვიცოდე: წერილი უსახელო იყო.

**დარეჯან**. იმისი იქნება, სხვა ვისი; ნამდვილად ვიცი, რომ ეს იმისი მოხერხებულია.

**გიორგი**. ვისი?

**დარეჯან**. ჩემი მტრისა.

**ქაიხოსრო**. გააძევეთ გულიდან იჭვი, დარეჯან! ყველაფერი უბედურება იჭვისაგან წარმოსდგება; გულში ჩახვეული ჯავრი ლხინად არ იქცევა. (შემოდის თომა ატაცებული).

**10.**

**თომა**. მდევარნი გახლავან, ბატონო. თქვენი ნახვა უნდათ.

**ქაიხოსრო**. ვისი? ჩემი?

**თომა**. დიაღ, ბატონო.

**ქაიხოსრო**. რა ამბავიაო?

**თომა**. რა მოგახსენოთ: ძალიან საჭირო საქმეაო; რამდენიმე კაცია დაიარაღებული; შორითგან მომავალთა ჰგვანან: მტვერში არიან გალანგულნი და ცხენებს ოფლი წურწურით გასდით; ან დიდი გაჭირება გამოუვლიათ, ან დიდ გაჭირებას მოელიან.

**გიორგი**. აქ შემოვიდნენ.

**ქაიხოსრო**. არა, არა! ეს მითხარი: გელაძე ხომ არა ვარო?

**თომა**. დიაღ, ბატონო, სწორედ ეგრე მოგახსენათ: გელაძე ვარო.

**ქაიხოსრო**. მაშ იმ საქმეზე იქნება ნამდვილად; ჩანს, კვალში ჩაუდგნენ. გავიდეთ, გიორგი! (გადიან).

**დარეჯან**. (ფიქრობს). ნამდვილად მარიამის საქმეა; ჩვენი მიწერ-მოწერა გაგებული აქვს; უსახელო წერილს არ მოსწერდა გასაფრთხილებლად, ეგრე რომ არ იყოს. შვილდი გასაწყვეტად არის მოზიდული; აქ ან უნდა შევჩერდე, ან გადავლახო ზღუდე ურიდად. (დაფიქრდება). არა, აღარ შეიძლება მალვა: იჭვნავრავი გული ჩემი ქმრისა ველარ მოისვენებს; მის სიფხიზლეს ველარაფერი გამოეპარება (პაუზა). დღეს, ან არადროს. (წავა მაგიდასკენ და შეჩერდება). ვაი თუ წავაგო, ვაი თუ ამ საშინელის საქციელით სიძულვილი აღვძრა ლევანის გულში და საუკუნოდ დავკარგო მისი სიყვარული. (ფიქრობს). არა, ამ ცეცხლიდან უნდა გამოვიდე: რაც მიწერია, იმას ვერ ავცდები. (გამოსწევს უჯრას და ამოიღებს საწამლავს). ჯოჯოხეთის საოცარო ძალავ, შენთვის მოუნდევია თვის ბედი უმწეოს; ერთი ბეწვა მტვერი ხარ, მაგრამ მძლეთა მძლე. (ჩ-ჭურის საწამლავს ჭინჭილაში. ამ დროს გამოჭყოფს არჩილ თავს და ისევ დაიმალება; დარეჯან სურიდან ღვინის დასხმას დააპირებს, მაგრამ ისევ გადასდგამს სურას). არა, თითონ დაისხას: იჭვი შეუძლებელი იქნება. (დაჯდება). მუხლებში ძალა მელევა: სიმხნევემ კვლავ მიმტყუნა. დამშვიდდი, გულო! ფიქრი არ არის: მოწმად ქაიხოსრო მეყოლება და ფარად არჩილ. (შემოდიან გიორგი და ქაიხოსრო).

**11.**

**ქაიხოსრო**. უკაცრავად, ჩემო რძალო, უნდა გამოგეთხოვოთ: ფრიად საჭირო საქმე გაგვიჩნდა.

**დარეჯან**. ასე უეცრად! რა ამბავია, რა გაიძულებთ ასე მალე წაბრძანებას?

**ქაიხოსრო**. უსათუოდ უნდა გიახლოთ; მდევარნი გახლავან; მთხრობელი მისვლიათ... არჩილ და ჩიქვანი აქეთკენ წამოსულან; ესენი, რასაკვირველია, მაშინვე უკან დასდევნებიან; კვალი აქამდის მოუტანიათ და აქ კი დაბნევიათ; სჩანს, ავსულნი სადმე აქ ტყეში იმალებიან.

**დარეჯან**. ჩვენ რაღა გვეშველება მერე?

**ქაიხოსრო**. თქვენ რისა გეშინიანთ?! თქვენ რას გერჩიან?!

**დარეჯან**. ვინ იცის?! განზრახვა მათი ბნელია და შეუგნებელი; აქეთ თუ წამოვიდნენ მართლა, ნუ თუ მნახველი მათი არავინ არის?!

**გიორგი**. ერთს უნახავს.

**ქაიხოსრო**. ერთი ბერი კაცი ჩაგვცივებია, ჩემის თვალით ვნახე არჩილ ამ სასახლისაკენ მომავალიო.

**დარეჯან**. იქნება მართლა! უბრძანეთ, დაათვალიერონ ეზო, სახლი...

**ქაიხოსრო**. აბა რას ბრძანებთ, რა საფიქრებელია: ცხადია, ბერიკაცს მოლანდებია. შვიდობით ბრძანდებოდეთ! ვნახოთ, რა გამოვა: უნდა ვცადოთ გარემოთა ადგილთა მოვლა და გზების შეკვრა.

**დარეჯან**. ცოტა ღვინო მიირთვით მაინცა, ან ხილი იქნება გიამოთ რამე.

**ქაიხოსრო**. ხილს არა და ღვინოს კი გიახლებით, თუ თქვენი წყალობა იქნება.

**დარეჯან**. დიდის სიამოვნებით. (სწრაფად მივა მაგიდასთან და ჩაასხამს ღვინოს ყანწში) ოღონდ კი მიირთვით. (მიართმევს).

**ქაიხოსრო**. თქვენ რად სწუხდებით. (მიეგებება და ჩამოართმევს ყანწს).

**გიორგი**. მე რაღა დამიშავე, ქალო?!

**ქაიხოსრო**. დაშავებით კი დაუშავე, ღვთის წინაშე, მაგრამ რა გაეწყობა: საბოდიშო იყოს.

**გიორგი**. მე უფრო შესანდობი მწყურიან, დარეჯან.

**დარეჯან**. რა მეთქმის: ქალის გული ჩვილია. (მიდის დასასხმელად). შენ ჭინჭილით ირჩევ, რასაკვირველია.

**გიორგი**. ჭინჭილით, უსათუოდ ჭინჭილით. მე ხილსაც კარგად გიახლებით.

**ქაიხოსრო**. დიდება ღმერთსა, ღმერთო მწე იყავ ამ ოჯახისა და ნუ მოაკლებ შენსა წყალობას და მძლავრს ფარველობასა! (სვამს).

**დარეჯან**. გმადლობთ.

**ქაიხოსრო**. ეხლა კი შვიდობით ბრძანდებოდეთ; უკაცრავად გახლავართ აჩქარებისთვის. (ყანწს დასდებს მაგიდაზე).

**დარეჯან**. შვიდობის მგზავრობა მოქცეს ღმერთმა, კეთილად აგისრულოს განზრახვა!

**ქაიხოსრო**. გმადლობთ ჩემო ბატონო! (ქაიხოსრო და გიორგი გადიან. ქაიხოსრო გამოტრიალდება). თქვენ ნუ სწუხდებით! (გაიხურავს კარსა და დარეჯანს დასტოვებს)

**დარეჯან**. (სწრაფად მივა მაგიდასთან და ასხამს ჭინჭილაში ღვინოს). ხელები მიკანკალებს; ჩასხმა ვერ მომიხერხებია; გულის ძგერა ყურებს მიყრუებს, თითქო ოკეანეს ზვირთების შუაგულ ომში ვიყვე. (სურას დასდგამს და ჩამოჯდება სკამზე). ცოტა დავისვენო არ შემამჩნიოს აღელვება; ლამის გული წამივიდეს. (შემოდის გიორგი).

**12.**

**გიორგი**. დარეჯან! ჩემო ვარსკვლავო ბედნიერებისა! მოვდივარ თაყვანის საცემლად; მარტოკანი ვართ და მინდა გული გადაგიშალო, მაგრამ ჯერ მოიტა, ხელები დაგიკოცნო. (დაუჭერს და უკოცნის).

**დარეჯან** ეგ რა საჭიროა!

**გიორგი**. შენდობას ვითხოვ, დარეჯან; მომიტევე ჩემო სათნო! შევსცდი, ვით უსუსური ბავშვი, უსაფუძვლოდ ავხირდი.

**დარეჯან**. რა საჭიროა მაგოდენა ბოდიში: აკი გითხარი მიპატიებია მეთქი.

**გიორგი**. არა, ეგრე ნუ! ჩემი მეუღლე ხარ, მაგრამ ჯერ შენთვის გული არ გ დამიშლია; არ მითქვამს, თუ რა ხარ ჩემთვის, არ ჩამიხედებია ჩემ გულის წმიდათა წმიდაში; დღეს გეუბნები პირველად, გეუბნები, რომ გრძნობა ჩემი ღრმაა და უზომოა, ვით უფსკრული ზღვა, ზღვასავით მღელვარე.

**დარეჯან**. გულსა მხვდება ეგ სიტყვები, მაგრამ უცხო კაცთან ბავშვიც კი შეიკავებდა თავსა.

**გიორგი**. რა ვქნა, რო მიყვარხარ; მიყვარხარ ისე, როგორც ოცი წლის ჭაბუკსა; არა უფრო მეტად: ისე, როგორც შეუძლიან სიყვარული ჩემი ხნის კაცს, რომელსაც თავის ცხოვრების გრძელ გზაზე ერთიღა შერჩენია სიხარული, ერთი ერთი საგანი სათაყვანებელი. შენი სიყვარული, დარეჯან, ჩემთვის წყაროა ცხოვრებისა და ამიტომ სიკვდილი იქნება ჩემთვის, თუ რომ დღევანდელმა ჩემმა ქცევამ ცოტად მაინც დააზიანა ჩვენი ცოლქმრული კავშირი. ჩემმა საქციელმა, მართალია, ძირს დამამხო, მაგრამ დამხობა იყო წინაშე ჩემი სალოცავისა, ჩემი სასოებისა. ამ სიტყვებისა მე თვითონ მრცხვენიან, ვიცი, არ შეჰფერის ჩემ ხნოვანებას, მაგრამ რა ვქნა, რო მიყვარხარ, მიყვარხარ გაგიჟებით. (ჰკოცნის ხელებზე).

**დარეჯან**. კმარა, რა დაგემართა, ადამიანო! რა მოხდა ისეთი?! მართალია, უმიზეზოდ მაწყენინე, მაგრამ რა უყოთ მერე!

**გიორგი**. გეფიცები, პირველია და უკანასკნელი; თუმცა არა ვნანობ, დარეჯან, რომ ასე მოვიქეცი: ამ წერილმა ამიხილა თვალები და აშკარად დამანახვა, რა საუნჯის მქონებელიცა ვარ; მან ცხადად მითხრა ის, რასაც მე მხოლოდ ვგონებდი და რასაც, შენი მორცხვობის ამბავი რო ვიცი, პირში არას დროს არ მეტყოდი: მე შენ გიყვარვარ; დარეჯან, მაგ ერთმა სიტყვამ აღმაფრთოვანა, ამიყვავა გული, ამივსო ლხინითა და სინათლითა; ეგ სიტყვა, ვით ხმა ცით გამონაცემი, სამოთხეს მიმკვიდრებს ამ სოფლად. დარეჯან, მითხარ, რაც გინდა, მიბრძანე, სად და როდის შემოგწირო თავი! მზად ვარ, ოღონდ მაპატიე. (ჰკოცნის ხელზე).

**დარეჯან**. ეგრე იცით კაცებმა; შემომფიცე, რომ ამას შემდეგ იჭვს აღარ გაივლებ გულში.

**გიორგი** (ცალ ფეხზე დაუჩოქებს). ვფიცავ შენ თავს, შენ სიყვარულს, შენ წარმტაც მშვენიერებას, (ჰკოცნის ხელებზე). შენ გულკეთილობას, სათნოებას! (ჰკოცნის ხელზე).

**დარეჯან**. კმარა, შემიწყნარებია. ადექი! (წამოაყენებს) შერიგებას ლხინი უნდა მოსდევდეს. (მივა მაგიდასთან და აიღებს ჭინჭილას). აი შენი ღვინო! (აძლევს) შენი საყვარელი ჭინჭილა! მეც დავისხამ. (დაისხამს) შერიგებისა იყოს.

**გიორგი**. ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო დარეჯან, ბედნიერად იმდენ წელიწადს, რამდენიც შენ კეთილ გულს უნდოდეს, არა, რამდენიც ჩემ გულს უნდოდეს,—ეს უფრო მეტი იქნება.

**დარეჯან**. შენც გაცოცხლოს ღმერთმა იმდენ წელიწადს, რამდენიც მაგ ჭინჭილაში წვეთი ღვინოა; მგონი არც ეს იქნება ნაკლები.

**გიორგი**. ამინ!

**დარეჯან**. შევსვათ და გავათავოთ ამაზე: ერთი ვინმე უნდა გაჩვენო, მოულოდნელი სტუმარი.

**გიორგი**. აბა ვინა?

**დარეჯან**. ჯერ დალიე და მერე გეტყვი; სიტყვა კი უნდა მომცე, რომ სასიამოვნოდ დაგრჩება.

**გიორგი**. გაძლევ პატიოსან სიტყვასა.

**დარეჯან**. მაშ შევსვათ ჯერა. (მოიყუდებენ. გამოვარდება არჩილ).

(შემდეგი იქნება)

## ბ-ნ ვაჟა-ფშაველას წერილის გამო.

(წერილი რედ. მიმართ)

„დროების“ № 75 ბ-ნმა ვაჟა-ფშაველამ მოათავსა წერილი ჩემ შესახებ. ამ წერილის შინაარსი არ შეესაბამება სინამდვილეს. საქმის ნამდვილი ვითარება იყო შემდეგში:

მე განვიძრახე წიგნების გამოცემა ხელის მომწერლების საშუალებით. ეს განზრახვა განუზიარე „ფასკუნჯის“ რედაქტ. ბ-ნ სამს. ფირცხალავას და ვთხოვე ეკისრა იდეური ხელმძღვანელობა გამოცემებისა. ბ-ნი ფირცხალავა სიამოვნებით დამთანხმდა და აღმითქვა დახმარება. შეუდგა კიდეც გამოსაცემ წიგნების არჩევას. თავიდანვე ვთხოვე ბ-ნ ფირცხალავას, რომ პირველი წიგნი ყოფილიყო აუცილებლად ახალი ნაწარმოები, ჯერეთ დაუბეჭდავი, ქართველ მწერლისა. ბ-ნმა ფირცხალავამ მიმითითა ბ-ნ ვაჟა-ფშაველაზედ. მეც დავთანხმდი. გამაცნო ვაჟა-ფშაველა და მოვილაპარაკეთ სტამბის კანტორაში. ამ მოლაპარაკებას დაესწრო ბ-ნი სამსონ ფირცხალავა, ქართველთა ამხანაგობის სტამბის ერთი მუშა და ერთიც სხვა (საჭიროების დროს დავასახელებ). საზოგადოდ ჩვენი გამოცემები უნდა ყოფილიყო 200 გვერდიანი წიგნი, არც მეტი არც ნაკლები. ხელის მომწერთათვის უნდა ღირებულიყო 25 კაპ. ეს ჩვენი გადაწყვეტილება ვაჟას უთხარით, წიგნის ზომაც და ფორმაც ვაჩვენე. მე ვამბობდი: თუ ხელის მომწერი 1200 ნაკლები იქნება, წიგნი არ გამოიცემა მეთქი. თუ მეტი აღმოჩნდება, შესაძლებელი იქნება გამოცემის გაგრძელება მეთქი. მაშინ ვიანგარიშეთ დაახლოვებით გამოცემა 1500 ც. თუ 1500 ხელის-მომწერი აღმოჩნდებოდა—შესაძლებელი იყო ბ-ნ ვაჟა-ფშაველასთვის მიმეცა ჰონორარი 80 მ. წიგნი კი დაჯდებოდა 25 კაპ. სწორედ ამიტომ გავჩერდით 80 მ. პირადად მე ვაჭრობა არ გამიმართავს სიიაფე-სიძვირის შესახებ. ფულის მიცემა თავიდანვე სულ არ მინდოდა, რადგან არ ვიცოდი, ხელის მომწერლები საყოფი იქნებოდა თუ არა. მაგრამ ბ-ნ ფირცხალავას დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ—თითქმის ძალით 20 მ. მივეცი. გამოცემა წიგნის რიცხვისა ჩემზედ იყო დამოკიდებული, განსაზღვრულ რიცხვზედ არა გვქონია ლაპარაკი, და ეს არც შესაძლებელი იყო, რადგან ხელის მოწერას ვაცხადებდით და რითი უნდა მცოდნოდა, თუ რამდენი წიგნი იქნებოდა საჭირო. დარჩა ჩემზედ 60 მ. ეს ფული უნდა მიმეცა, როცა ხელნაწერებს სრულად ჩამაბარებდა. ბ-ნმა ვაჟამ სამჯერ გაიმეორა—სანამ 60 მ. არ მომცემ, მანამ ხელნაწერებს არ ჩაგაბარებო. მეც დავეთანხმე. ვადა იანვრის დამლევი იყო. გამოვაცხადე ხელის მოწერა. აღმოჩნდა ხელის მომწერი 1500. აღარ მახსოვს, რომელი რიცხვი იყო, ბ-ნ ფირცხალავას გადავეცი 60 მ. და უთხარი, ხელნაწერები ჩამაბარე მეთქი. ხვალ მოგიტანო, მითხრა.

მეორე დღეს მოვიდა ჩემთან ბ-ნი ფირცხალავა ხელცარიელი. მითხრა—ვაჟას არაფერი დაუტოვებია, გარდა 5—6 ლექსისა. სახტად დავრჩი—[illegible] ვაჟა-ფშაველასაგან ამას არ მოველოდი. მე და ფირცხალავას ცხარე ლაპარაკი მოგვივიდა: მე მას ვაბრალებდი, რომ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა, და მართლაც საშინელი იყო ჩემი მდგომარეობა—ჯერეთ საქმე დაწყებულიც არ იყო და საზოგადოება უნდა მომეტყუილებინა.

გადავწყვიტე დამებეჭდა თავი ბ-ნ ვაჟას „ცრემლებისათვის“ და ბ-ნ ფირცხალავას მოვთხოვე 20 მ. უკანვე. უარი მივიღე. მან კი დეპეშით აცნობა ვაჟა-ფშაველას ასეთი საქმის მდგომარეობა. დეპეშის პასუხს უცადე ხუთ დღეს, და რადგან პასუხი არ მოგვივიდა—მე ვაპირებდი სხვა მწერლის თხზულებათა გამოცემას. დავიწყე კიდევაც მოლაპარაკება ბ-ნ ვალ. გუნიას საშუალებით. ეს მეორე კომბინაცია 80 მ. მეტი ჯდებოდა, რადგან ვაჟა-ფშაველასთან ფული მეკარგებოდა, ზედმეტი ფული კი არ იყო. ბოლოს ისევ ვარჩიე ვაჟა-ფშაველას ძველი ლექსების დაბეჭდვა, მხოლოდ ფირცხალავას ვუთხარ, წაღებულ 20 მ. მეტს აღარ მივცემ მეთქი. ფირცხალავამ მიპასუხა, მე ყველაფერს თავს ვანებებ და რაც გინდა, ის ჰქენიო. რამოდენიმე დღის შემდეგ როცა ბეჭვდას შეუდექი კი მითხრა, ფული კიდევ მიეცი, თორემ არ ივარგებსო. მე უარზედ ვიდექი. ს. ფირცხალავამ კი მითხრა სამედიატორო სასამართლოს გაარჩევინეთ საქმე, და რაც გადასწყვიტოს, დათანხმდიო. ამ წინადადებაზე მე დავთანხმდი და ბ-ნ ვაჟას ჩამოსვლას უცდიდით. ამ დღეებში ვაჟაც ჩამობძანდა და ჩემთან მოვიდა ევდოშვილთან ერთად. მომთხოვა 60 მ. მე უარი უთხარი. მეორე თუ მესამე დღეს გამომიგზავნა მოციქულად შიო ქუჩუკაშვილი, სამედიატორო სასამართლოში გამომყევითო. მე თანხმობა განვაცხადე. მეორე დღეს კი ბ-ნ ვაჟა-ფშაველას წერილი დაიბეჭდა ჩემზე. მთელი საქმის ნამდვილი გარემოება ასე იყო. ყველა ამას დავამტკიცებ მოწმების საშუალებით, თუ საჭირო იქნება.

ახლა გადავიდეთ თვით გამოცემაზე. გაზეთშიაც და კერძოთაც ჩვენ ვაცხადებდით, რომ წიგნი დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება მეთქი. დანამდვილებითაც ეს ასე მოხდა. ხელის მომწერი იყო სულ 1500 კაცი, დაიბეჭდა სულ 1650 ცალი. კონპლექტისთვის თითონ მე დავიტოვე 70 ც. დანარჩენი მიეცა ხელის მომწერლებს და უფასოდ ზოგიერთ დაწესებულებებს და პირებს. წიგნის გამოსვლის შემდეგ მეითხოვეს ქუთაისიდან, იძლეოდნენ 35 კაპ.—40 კაპ. ცალში, მაგრამ აღარა მქონდა. ამას დაამტკიცებს ბ-ნი ისიდორე კვიცარიძე. ტფილისში „ალიონის“ წიგნის მაღაზიის გამგე ვ. გადილია იძლეოდა წიგნში ღირებულ ფასს, ე. ი. 50 კაპ. ცალში. ვეღარ მივეცი, რადგან აღარ იყო. ესეც დამტკიცდება. რუსეთიდან მაქვს მიღებული რამდენიმე საყვედურის წერილი, რომ განსაზღვრულ რიცხვზედ მეტი რათ არ დავბეჭდე (ამ წერილებს საჭიროების დროს წარმოვადგენ). ბ-ნი ვაჟა-ფშაველა ვერ მიჩვენებს ვერც ერთ კაცს, რომ მე წიგნი 50 კაპეიკად მიმეყიდოს, ვაცხადებ საჯაროდ—თუ ვისმე მივყიდე 50 კაპ., ვთხოვ გაზეთის საშუალებით გამოაცხადოს. ამ რიგად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსები 1650 ცალზე მეტი არ დაგვიბეჭდია და რომ დაგვებეჭდა, ეს ჩვენი საკუთარი საქმე იყო, რადგან ბ-ნ ვაჟა-ფშაველას მოგებაში წილი არა ჰქონია და არც განსაზღვრული რიცხვით ვყოფილ-ვართ გარიგებული. მაშასადამე, ბ-ნ ვაჟა-ფშაველას მოსაზრება, რომ ჩვენ ზედ-მეტი დავბეჭდეთ იმ მოსაზრებით, რომ შემდეგში 50 კაპ. ვყიდოთ, მართალი არ არის.

1,500 ხელის მომწერთაგან შემოვიდა (1500—25) 375 მან. აგენტებს %—35 მ., რჩება 340 მანეთი. ამ რიგად გამოცემისათვის დაგვრჩა 340 მან. გამოცემაზე დაიხარჯა:

ქაღალდი 24 ფუთა 97 მან. 50 კ. ზედაკანის ქაღალდი 12 მ. 50 კ., აწყობა, დაბეჭდვა 14 ფორმისა 130 მ., ზედაპირის დაბეჭდვა 7 მ., კორექტურა 14 მ., გადაწერა ძველ ლექსებისა 5 მ. 50 კ., დაკაზმა 30 მ. 80 კ., კლიშე 3 მ. 50 კ., პკვიტანციის დაბეჭდვა ხელის-მომწერთათვის 4 კ., წიგნების გასაგზავნი პროვინციებში 8 მ. 50 კ., განცხადებისა 6 მ. 50 კ., ვაჟა-ფშაველას 20 მ., დეპეშა მიხავე 3 მან. სულ—342 მან. 80 კაპ.

ამ რიგად ზედ-მეტია დახარჯული 2 მ. 80 კ. ამ ფულში დამრჩა მე 70 ცალი წიგნი. ჩემ შრომას არ ვაფასებ. განა ამის შემდეგ შეიძლება შემოგვწამონ, რომ ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით, მოტყუებით, მაცდურობით და ბ-ნ ვაჟა-ფშაველას წიგნიდან მოგებული ფული ჩავიჯიბეთ! (ყველა ზემოთ მოყვანილ ციფრებს საბუთებით დავამტკიცებ).

აქვე უნდა მოვიხსენოთ მიზეზი იმისა, თუ რატომ დაიბეჭდა 200 გვერდის მაგიერ 226 გვერდი, ე. ი. თითქმის ორი ფორმა მეტი. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ჩვენ დაპირებული ვიყავით საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა ვაჟა-ფშაველას ჯერეთ დაუბეჭდავი მოთხრობები და ლექსები. ჩვენ ეს პირობა ვერ შევასრულეთ, რადგან დაუბეჭდავი ლექსები და მოთხრობები ბ-ნმა ვაჟამ აღარ გადმოგვცა. ამის სამაგიეროთ ჩვენ მიუმატეთ წიგნს სიდიდე და ამით გვსურდა დანაკლისის შევსება. რამდენად მადლიერი დაგვრჩნენ ხელის-მომწერნი, არ ვიცი, მხოლოდ ის კი აშკარაა, რომ ბ-ნმა ვაჟა-ფშაველამ თავის პირობის შეუსრულებლობით შეგვიყვანა ზედ-მეტ ხარჯში, ე. ი, დაიხარჯა ზედ-მეტი 52 მ. ვიმეორებ ეს 52 მანეთი ზედ-მეტი არ დაიხარჯებოდა, ვაჟას რომ პირობა შეესრულებინა, და ამ 52 მ. ბ-ნი ვაჟა-ფშაველა თითონვე მიიღებდა. ამაზე მგონია თვით პატივცემული მგოსანიც დაგვეთანხმება—რადგან იგი ჩემს მოქმედებას ვაჭრულის თვალით უყურებს და მე, როგორც ვაჭარს, რა თქმა უნდა „ჩოთქი“ არ შემეშლებოდა და 200 გვერდ წიგნს ორ ფორმას აღარ მიუმატებდი და არც სხვა ხარჯს გავწევდი.

ყველა ზემოთ აღნიშნული ცნობებიდან ცხადათ სჩანს, რომ: 1. ბ-ნ ვაჟა-ფშაველას უნდა მოეცა ჯერეთ დაუბეჭდავი მოთხრობები და ლექსები, 200 გვ. სამყოფი; რომ მან იცოდა წიგნის ფორმატი. 2 გამოცემაში ყურ-გახვრეტილი ფარაც არ მომიგია (ლანძღვის მეტი). 3. ბ-ნმა ვაჟა-ფშაველამ თავის დანაპირები არ შეასრულა. 4. მოტყუებით არც იმის ძმისათვის (არც კი ვიცნობ), არც ბ-ნ ფირცხალავასთვის მასალა არ გამომირთმევია—პირიქით, ფული ხელში ჰქონდა და უკანვე დამიბრუნა. 5. წიგნი დაიბეჭდა 1650 ცალი, ხელის მომწერი იყო 1500, დანარჩენი (70 გარდა) მუქთად, უფასოდ დარიგდა. 6. არც ერთ კაცისათვის არ მიმიყიდია წიგნი 25 კაპ. ზევით და გასასყიდი აღარცა აქვს. 7. ბ-ნ ვაჟა-ფშაველას წყალობით დაიხარჯა ზედ-მეტი 48 მანეთი. 8. სამედიატორო სასამართლოს არც უმალ, არც ახლა არ გაურბივარ და ყოველთვის თანხმობას ვაცხადებდი.

დასასრულ, არ შემიძლიან არ აღვნიშნო ჩემი მდგომარეობა ამ საქმეში. კარგად ვიცი, რომ ჩემი კაკალიც კი არ გაჩხრიალდება და ბატონი ვაჟა-ფშაველას ბამბაც კი გრიალს დაიწყებს, მაგრამ თუ ყველა ამას ვწერ, იმიტომ რომ იცოდნენ ჩვენმა გამომცემლებმა საქმის გარემოება, რომ შემდეგში ჩემსავით უბადრუკ მდგომარეობაში არ ჩავარდნენ...

**მ. გაჩეჩილაძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ მიბძანოთ ნება, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო კითხვით ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, აქამდისინ რატომ არავითარ პასუხს არ მაძლევს ხსენებული გამგეობა ჩემ წერილზე, რომელიც მარტის თვის 22-ს რიცხვს მივართვი ბ-ნ თავმჯდომარეს? თუ ამ სამ დღეში პასუხი არ მომივიდა, მაშინ იძულებული ვიქნები თქვენივე გაზეთ „დროების“ საშუალებით გამოვაქვეყნო ის უპატივცემულო დამოკიდებულება, როგორიც ამ სათეატრო სეზონში აღმომიჩინა მე გამგეობამ.

**კოტე ყიფიანი.**

# განცხადებანი

## სია ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურებისა,

რომელთაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მომავალ ჩვეულებრივ კრებაში მიმდინარე წლის (დანიშნულია 19 მაისს), უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ, როგორც კრების ყოველ საქმესა და დადგენილებაში, ისე არჩევნებშიაც, პირადათ და რწმუნებულთა საშუალებით.

**პირადად:**

1. ქუთაისის გუბერნიის მარშალი თავადი ს. დ. წერეთელი.
2. ქუთაისის მაზრის მარშალი თავადი დ. ო. ნიჟარაძე.
3. გენერალ-ლეიტენანტი თავ. ალ. ო. მიქელაძე.
4. გენერალ-მაიორი თ. დიმ. ოტის ძე მიქელაძე.
5. გენერალ-მაიორი თ. გიორგი თეიმურაზის ძე აგიაშვილი.
6. გენერალ-მაიორი მიხეილ საჩინოს ძე ჩხეიძე.

**სტატსკი სოვეტნიკები:**

7. გრიგოლ გიორგის ძე გამრეკელოვი
8. სიმონ ბესარიონის ძე ღოღობერიძე.
9. თავადი ალექსანდრე ტარიელის ძე მიქელაძე.
10. სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკია.
11. ქაიხოსრო დავითის ძე ლორთქიფანიძე.
12 თავადი ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძე.
13. თავადი კონსტანტინე დავითის ძე წულუკიძე.
14. ზურაბ როსტომის ძე ყიფიანი.
15. ვასილ ნიკოლოზის ძე ბულაძე.
16. გიორგი ნიკოლოზის ძე კახიანი.
17. კონსტანტინე ალექსის ძე ღოღობერიძე.
18. თავადი კონსტანტინე სიმონის ძე ერისთავი.

**პოლკოვნიკები:**

19. უგანათლებულესი თავადი გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძე.
20. ქაიხოსრო ტარიელის ძე ქაჯაია.
21. ვიქტორ ანასეს ძე ქუთათელაძე.
22. დავით სამსონის ძე კლდიაშვილი.
23. მიხეილ ნიკოლოზის ძე ქავთარაძე.
24. თავადი ლევან ბესარიონის ძე მიქელაძე.
25. ლავრენტი ოტიას ძე გრიგოლაშვილი.

**პოდპოლკოვნიკები:**

26. თ. გიორგი ბესარიონის ძე მიქელაძე.
27. ავქსენტი გიგოს ძე ნაკაშიძე.
28. იზმაილ სპირიდონის ძე მესხი.
29. მიხეილ ლევანის ძე ქორქაშვილი.

**კოლეჟსკი სოვეტნიკები:**

30. ივანე სიმონის ძე ბაინდუროვი.
31. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე.
32. გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანი.

**ნადვორნი სოვეტნიკები:**

33. მისის დიდებულების სასახლის კამერჰერი თავადი სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე.
34. გიორგი დავითის ძე ერისთავი.
35. ბესარიონ იოსების ძე ავალიანი.
36. მელიტონ ვასილის ძე ქელბაქიანი.
37. ვასილ მერაბის ძე ლომინაძე.
38. ბესარიონ მიზარბეგის ძე მდივანი.
39. ნიკოლოზ იოსების ძე ჩიკვაიძე.
40. თავადი დიმიტრი სიმონის ძე მიქელაძე.

**კაპიტნები:**

41. თავადი სვიმონ გრიგოლის ძე წულუკიძე.
42. თავადი იორამ გრიგოლის ძე ერისთავი.
43. თავადი ვლადიმერ იულონის ძე იაშვილი.
44. სერაფიონ ივანეს ძე შენგელია.
45. პორუჩიკი სევერიანე გიორგის ძე ლორთქიფანიძე.

**ტიტულიარნი სოვეტნიკები:**

46. თავადი კონსტანტინე დავითის ძე ნიჟარაძე.
47. სვიმონ გიორგის ძე კლდიაშვილი.

**კოლეჟსკი სეკრეტრები:**

48. თავადი ნესტორ დავითის ძე ერისთავი.
49. თავადი სიმონ გიორგის ძე ჩიჯავაძე.
50. თავადი პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი.
51. ისიდორე გიორგის ძე გამრეკელიძე.
52. თავადი გრიგოლ რევაზის ძე ლორთქიფანიძე.
53. სიმონ დიმიტრის ძე გოგიჩაძე.
54. თავადი ბესარიონ მანუჩარის ძე ლორთქიფანიძე.
55. თავადი ნიკოლოზ გიორგის ძე აგიაშვილი.

**პოდპორუჩიკები:**

56. მიხეილ ერისტოს ძე დარახველიძე.
57. თავადი მელქისედეკ დიმიტრის ძე მიქელაძე.
58. კონსტანტინე იესეს ძე იოსელიანი.
59. თავადი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ნიჟარაძე.

**გუბერნსკი სეკრეტრები:**

60. თავადი ვლადიმერ მანუჩარის ძე ჩიჯავაძე.
61. იუსტინე ტარიელის ძე მაჰვავარიანი.
62. დავით ბიჟანის ძე ჩხეიძე.
63. ივანე სიმონის ძე ერისთავი.
64. ილარიონ დავითის ძე ბერიძე.

**პრაპორშჩიკები:**

65. თავადი ვარლამ მიხაილის ძე ერისთავი.
66. თავადი ნიკოლოზ ბეჟანის ძე ჩხეიძე.
67. თავადი დავით კონსტანტინეს ძე ნიჟარაძე.
68. თავადი ანტონ გრიგოლის ძე წულუკიძე.
69. თავადი დავით ბეკოს ძე ლორთქიფანიძე.
70. თავადი გიორგი ივანეს ძე წულუკიძე.
71. თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ჩხეიძე.
72. თავადი გიგო ივანეს ძე ერისთავი.
73. თავადი კასიანე ბაქარის ძე მიქელაძე.
74. თავადი ალექსანდრე ვლასას ძე ლორთქიფანიძე.
75. თავადი ვიქტორ მანუჩარის ძე ჩიჯავაძე.
76. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მიქელაძე.
77. თავადი დავით ლორთქიფანიძის ობლების ოპეკუნი გიგო ივანეს ძე ერისთავი.
78. თავადი დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე.
79. ილარიონ ოტის ძე გამყრელიძე.

**კოლეჟსკი რეგისტრატორები:**

80. თავადი ფარნაოზ ბეჟანის ძე ნიჟარაძე.
81. თავადი აკაკი კაციას ძე ნიჟარაძე.
82. თავადი გიგო სიმონის ძე წულუკიძე.
83. თავადი მიტროფანე ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე.
84. თავადი მელიტონ დავითის ძე ლორთქიფანიძე.
85. თავადი დავით გრიგოლის ძე წულუკიძე.
86. თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ლორთქიფანიძე.
87. თავადი გიორგი მანუჩარის ძე ჩიჯავაძე.

**უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი:**

88 დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი.
89. თავადი კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე.
90. თავადი იასონ ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე.
91. მოსე ათანასეს ძე ქიქოძე.
92. თავადი პეტრე გიორგის ძე წულუკიძე.
93. თავადი იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე.
94. ზაქარია კონსტანტინეს ძე მაჰვარიანი.
95 თავადი ალექსანდრე მერაბის ძე ლორთქიფანიძე.
96. ივანე პეტრეს ძე ჯაიანი.
97. დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე.
98. დავით ბესარიონის ძე კვირკველია.
99. თავადი დავით ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე.
100. გიორგი ლევანის ძე ქორქაშვილი.
101. თავადი ბეჟან დავითის ძე წერეთელი.
102. თავადი ანდრია მიხეილის ძე ერისთავი.
103. კალისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე.

**რწმუნებულთა საშუალებით:**

104. ბაბილინა ვახტანგის ასული ბებურიშვილისა.
105. უგანათლებულესი კნეინა ნიდიკორა ბაგრატიონისა.
106. კნეინა სოფიო ნიკოლოზის ასული მიქელაძისა.
107. კნეინა ელისაბედ სარდიონის ასული მიქელაძისა.
108. მინადორა ნიკოლოზის ასული მიქაბერიძისა.
109 მართა ალექსანდრეს ასული ლორთქიფანიძისა.
110. კნეინა ნინა დავითის ასული აგიაშვილისა.
111. კნეინა ანნა სევერიანეს ასული თუმანიშვილისა.
112. კნეინა ანნა მიხეილის ასული ნიჟარაძისა.
113. ბარბარე კონსტანტინეს ასული ერისთვისა.
114 მინადორა კონსტანტინეს ასული ერისთვისა.
115. ეკატერინე ერისთვის ასული ერისთვისა.
116. მიხეილ ლორთქიფანიძის ობლების ოპეკუნში კნეინა დესპინა მიქელაძისა.
117. კნეინა ელისაბედ ონისიმეს ასული წულუკიძისა.
118. კნეინა მარიამ ირაკლის ასული ნიჟარაძისა.
119. კნეინა სოფიო ივანეს ასული მიქელაძიაა.
120. კნეინა მარიამ სარდიონის ასული წერეთლისა.
121. კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასული ფალავასი.
122. კნეინა ელისაბედ ივანეს ასული ლორთქიფანიძისა.
123 კნეინა ელისაბედ ირაკლის ასული მიქელაძისა.
124. კნეინა ანასტასია ბეჟანის ასული მიქელაძისა
125. კნეინა ეფროსინე ბეჟანის ასული წულუკიძისა.
126. კნეინა ეფემია ვახტანგის ასული ლორთქიფანიძისა.
127. კნეინა ნატალია დავითის ასული აგიაშვილისა.
128. კნეინა ბაბილინა მელიტონის ასული წულუკიძისა.
129. კნეინა ანასტასია სარდიონის ასული წულუკიძისა.
130. კნეინა მარიამ სეფეს ასული მაჩაბლისა.
131. ბეჟან ერისთვის ობლების აპეკუნში ტერეზია მიქელაძისა.
132. კნეინა ნინო რაჟდენის ასული ნიჟარაძისა
133. კნეინა ნატალია რაჟდენის ასული ნიჟარაძისა.
134. ბაგრატ ნიჟარაძის ობლების აპეკუნში კნეინა ეფროსინე ნიჟარაძისა.
135. კნეინა მარიამ ონისიმეს ასული ერისთავისა.
136. კნეინა ბარბარე დავითის ასული მიქელაძისა.

## სია [illegible]

თავად-აზნაურთა, რომელთაც გუბერნიის თავ.-აზნაურობის კრებაში ხმა აქვთ ყოველს საქმესა და დადგენილებაში, გარდა არჩევნებისა.

**სტატსკი სოვეტნიკები:**

1. თავადი სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე.
2. ნიკოლოზ პაატას ძე აკიმოვი.
3. ივანე ფელიქსის ძე განნევსკი.
4. მიხეილ ფელიქსის ძე განნევსკი.

**პოლკოვნიკები:**

5. თავადი სოკრატ ხუტუს ძე მიქელაძე.
5. იასონ ალექსანდრეს ძე აბელედიანი.
6. შიო ალექსის ძე ელიავა.
7. თავადი გიორგი დავითის ძე წულუკიძე.
7. ბესარიონ ეგნატეს ძე იოსელიანი.

**ნადვორნი სოვეტნიკები:**

8. სიმონ იოსების ძე აბულაძე.
9. ნიკოლოზ პეტრეს ძე ჯაიანი.
10. პავლე გოჯასპირის ძე ლორთქიფანიძე.
11. ალექსანდრე ვასილის ძე გურიევიჩი.
12. ვარდენ ვასილის ძე ქელბაქიანი.
13. მიხეილ ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე.
14. ალბერტ ფელიქსის ძე განნევსკი.

**კაპიტნები:**

15. ფარსადან გიორგის ძე მიქელაძე.
16. კონსტანტინე ანდრიას ძე მარჯანიშვილი
17. ალექსანდრე სერაპიონის ძე შენგელია.
18. მიხეილ ბეჟანის ძე ღოღობერიძე.

**ტიტულიარნი სოვეტნიკები:**

19. პეტრე ნიკოლოზის ძე იოსელიანი.
20. ტიხონ ალექსის ძე ასათიანი.
21. გიორგი მერაბის ძე აბულაძე.
22. არჩილ ლევანის ძე დალაქიშვილი.

**კოლეჟსკი სეკრეტრები:**

23. გრიგოლ გიორგის ძე კლდიაშვილი.
24. ივანე დავითის ძე ბაქრაძე.
25. კონსტანტინე თეიმურაზის ძე ჩხეიძე.
26. ნიკოლოზ ივანეს ძე გამრეკელოვი.
27. მირზაბეგ ლევანის ძე დალაქიშვილი.
28. სოლომონ გლახუას ძე გრიგოლაშვილი.
29. იასონ ბესარიონის ძე გაბაშვილი.
30. ილია კონსტანტინეს ძე ქავთარაძე.
31. სეფე ივანეს ძე მხეიძე.
32. ნესტორ ლევანის ძე მესხი.

**პოდპორუჩიკები.**

33 თავადი მერაბ ზურაბის ძე მიქელაძე.
34. იოსებ ოტიას ძე ლორთქიფანიძე.
25. რუბენ დავითის ძე ღოღობერიძე.

**პრაპორშჩიკები:**

16. თავადი ალექსანდრე დავითის ძე წულუკიძე.
37. თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქელაძე.
38. თავადი ირაკლი ზურაბის ძე მიქელაძე.
29. ქაიხოსრო თაყას ძე ჯაფარიძე.
30. ბეგლარ ოტიას ძე დემეტრაძე.
41. ალექსანდრე გიორგის ძე ერისთავი.
42. კონსტანტინე მიხეილის ძე აგიაშვილი.
43. ალექსი ბესარიონის ძე გაბაშვილი.

**უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი:**

44. დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი.
45. იოელ ანტონის ძე მიქელაძე.
46. კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძე.
47. მიხეილ ომაინის ძე ჩინჩალაძე.
48. დავით ბესარიონის ძე მდივანი.
49. ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვი.
50. ვლადიმერ ქაიხოსროს ძე ლორთქიფანიძე.
51. თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ერისთავი.
52. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე კანდელაკი.
53. თავადი დავით ბარამის ძე ერისთავი.

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თ. დ. ნიჟარაძე.**